სს „ჯორჯიან ქარდის“ სისტემაზე წვდომის წესები

თავი I - ზოგადი დებულებები

დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს ის წესები და პირობები (შემდგომში - სისტემის წესები), რომელიც უნდა იქნეს დაცული იმ სუბიექტის მიერ, რომელიც გახდება სს „ჯორჯიან ქარდის“ საგადახდო სისტემის (შემდგომში - სისტემა) მონაწილე.

ტერმინთა განმარტება

1. **დანართი** - თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული **ხელშეკრულების** დანართ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;

2. **მხარე/მხარეები** - **სისტემის ოპერატორი** ან/და **სისტემის მონაწილე/კონტრაჰენტი** (კონტექსტის შესაბამისად);

3. **სისტემის ოპერატორი/მომსახურების გამწევი** - სს ჯორჯიან ქარდი, რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია **ხელშეკრულების 1.1. პუნქტში;**

4. **სისტემის მონაწილე** - იურიდიული პირი, რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია **ხელშეკრულების 1.2. პუნქტში** და რომელიც აკმაყოფილებს სისტემის წესების 6.1. პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

5. **ხელშეკრულება** - (ა) წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში - **ხელშეკრულება**); (ბ) ნებისმიერი **დანართი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც დაიდო/დაიდება მომავალში **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებასთან** მიმართებაში, ამგვარ დოკუმენტებში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით; გ) **სისტემის წესები;** დ) **პროტოკოლი.**

6. **ავტორიზაცია** - **საბარათე ინსტრუმენტით საბარათე ოპერაციის** ინიციირებისას **საბარათე ოპერაციის** შესრულების შესაძლებლობის დადასტურება.

7. **ავტორიზაციის მოთხოვნა** - **საბარათე ოპერაციის** ინიციირებისას **საბარათე ოპერაციის ავტორიზაციის** მოთხოვნა **სისტემის** საშუალებით.

8. **ავთენტიფიკაცია** - **საბარათე ინსტრუმენტის ემიტენტის** მიერ დადგენილი წესების ერთობლიობა ან/და პროცედურა, რომლითაც ემიტენტს საშუალება ეძლევა მოახდინოს **ბარათის მფლობელის** იდენტობის დადგენა ან/და **საგადახდო ინსტრუმენტის** გამოყენების ვალიდურობის დადგენა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს გამოყენებული უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების შემოწმებას;

9. **BIN – Bank Identification Number** - საერთაშორისო საბარათე სქემის ან/და **სისტემის ოპერატორის** მიერ ემიტენტი პირისთვის მინიჭებული სპეციალური კოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება საბარათე ინსტრუმენტის ემიტენტის იდენტიფიკაცია.

10. **BINR - Bank Identification Number Range** - BIN-ის საფუძველზე **ემიტენტი სისტემის მონაწილის** მიერ ემიტირებული **საბარათე ინსტრუმენტების** ჯგუფისთვის მინიჭებული კოდების ერთობლიობა, რომლითაც შესაძლებელია **ემიტენტი სისტემის მონაწილის** მიერ ემიტირებული **საბარათე ინსტრუმენტის** კონკრეტული ჯგუფის იდენტიფიკაცია.

11. **PAN - PrimaryAccount Number** - **საერთაშორისო საბარათე სქემაში** ჩართული **საბარათე ინსტრუმენტის** უნიკალური კოდი ან/და **ლოკალურ საბარათე სქემაში** ჩართული **საბარათე ინსტრუმენტის** უნიკალური კოდი, რომელიც მათ შორის მოიცავს **BIN-ს, BINR-ს** და რომლის მეშვეობითაც ხდება კონკრეტული **საბარათე ინსტრუმენტის** იდენტიფიკაცია.

12. **პერსონალიზაცია** - **ბარათზე საიდენტიფიკაციო მონაცემების** დატანა, მათ შორის **ბარათის** ჩიპზე, მაგნიტურ ველზე დატანა.

13. **საბარათე სქემა** - საერთო წესების, ტექნიკური სტანდარტების და დანერგვის სახელმძღვანელოების ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება **საბარათე ოპერაციის** დამუშავება, ასევე იგი მოიცავს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ან პირს, რომელიც პასუხისმგებელია სქემის ფუნქციონირებაზე. საბარათე სქემა არ მოიცავს ტექნიკურ ინფრასტრუქტურას და საგადახდო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს **საბარათე ოპერაციის** შესრულებას. საბარათე სქემა შეიძლება იყოს:

   - **საერთაშორისო საბარათე სქემა** - VISA, Mastercard, American Express, UnionPay, JCB და Discover;

   - **ლოკალური საბარათე სქემა** – საქართველოში მოქმედი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის და/ან საგადახდო სისტემის ოპერატორის მიერ შემუშავებული საბარათე სქემა, რომლის მიხედვით საბარათე ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ

საქართველოში მოქმედი პროვაიდერის საბარათე ინსტრუმენტის მიმღებ მოწყობილობებში.

14. **ლოკალური ბარათი** - **ლოკალური საბარათე სქემის** ფარგლებში ემიტირებული **ბარათი/საბარათე ინსტრუმენტი.**

15. **საერთაშორისო ბარათი** - **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში ემიტირებული **ბარათი/საბარათე ინსტრუმენტი.**

16. **პლასტიკი** - **ფიზიკური** სახით არსებული **ბარათი**, მის **პერსონალიზაციამდე** და ემბოსირებამდე.

17. **ანგარიშსწორების აგენტი** - იურიდიული პირი, რომელიც სისტემის მონაწილეებს უზრუნველყოფს **ანგარიშსწორების ანგარიშებით,** რომელთა მეშვეობითაც ხდება **სისტემის მონაწილეთა** შორის ანგარიშსწორება.

18. **ანგარიშსწორების ანგარიში** - **ანგარიშსწორების აგენტთან** არსებული **სისტემის მონაწილის** ანგარიში, რომელზეც აღირიცხება ფულადი სახსრები ან ფინანსური ინსტრუმენტები და რომლის მეშვეობითაც ხდება **სისტემის მონაწილეთა** შორის **ანგარიშსწორება.**

19. **ანგარიშსწორება** - **ანგარიშსწორების აგენტის** მიერ შესრულებული **ოპერაცია**, რომლის შედეგადაც ხდება **სისტემის მონაწილეებს** შორის შესაბამის ფულად სახსრებზე საკუთრების უფლების გადაცემა;

20. **კლირინგი** - ანგარიშსწორებამდე ოპერაციის გადაცემის, რეკონსილაციის და, არსებობის შემთხვევაში, დადასტურების პროცესი. კლირინგი შესაძლოა აგრეთვე მოიცავდეს ოპერაციების ურთიერთგაქვითვას და ანგარიშსწორებისთვის საბოლოო პოზიციების დადგენას;

21. **ნეტპოზიცია** – დროის განსაზღვრული მომენტისთვის **სისტემის მონაწილის** მიერ მიღებული ყველა ჩარიცხვის ან სხვა მოთხოვნის ოდენობების ჯამს გამოკლებული მის მიერ **სხვა სისტემის მონაწილის** ან **სისტემის მონაწილეთა** სასარგებლოდ განხორციელებული ყველა გადარიცხვის ან სხვა ვალდებულების ჯამი;

22. **საკრედიტო ნეტპოზიცია/ნეტმოთხოვნა** – **სისტემის მონაწილის** ნეტპოზიციის დადგენისას მიღებული დადებითი სიდიდე;

23. **სადებეტო ნეტპოზიცია/ნეტვალდებულება** – **სისტემის მონაწილის ნეტპოზიციის** დადგენისას მიღებული უარყოფითი სიდიდე;

24. **ურთიერთგაქვითვა/ნეტინგი** – **ნეტპოზიციის** გამოთვლა ან/და დადგენა, რის შედეგადაც სისტემის მონაწილეს წარმოეშობა ნეტმოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება ან ნეტვალდებულების დაფარვის მოვალეობა. **ურთიერთგაქვითვა/ნეტინგი** შეიძლება ხდება როგორც ორმხრივი (ორ მონაწილეს შორის), ისე მრავალმხრივი (ორზე მეტ მონაწილეს შორის) საერთო ვალდებულებებისა და მოთხოვნების გაანგარიშების ურთიერთჩათვლის საფუძველზე;
25. **სისტემის წესები** - **სისტემის ოპერატორის** მიერ შემუშავებული წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს **სისტემის** მუშაობას;

26. **საბარათე ინსტრუმენტი** - **საგადახდო ინსტრუმენტი,** მათ შორის **საგადახდო ბარათი,** მობილური ტელეფონი, კომპიუტეტი ან სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელშიც ჩაწერილია/ინტერგირებულია შესაბამისი საგადახდო აპლიკაცია და რომლის საშუალებითაც გადამხდელს შეუძლია განახორციელოს **საბარათე ოპერაციის** ინიციირება;

27. **საგადახდო ბარათი/ბარათი** - **ემიტენტის** მიერ გამოშვებული ელექტრონული **საგადახდო ინსტრუმენტის** კატეგორია, რომლის საშუალებითაც გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიციირება. ტერმინი მოიცავს, როგორც ვირტუალური სახის ბარათს, ასევე ფიზიკური პლასტიკურ ბარათს;

28. **პერსონიფიცირებული ბარათი** - **ბარათი,** რომელზეც ასახულია **ბარათის მფლობელის** სახელი და გვარი ან სახელის ინიციალი და გვარი. ასევე, ბარათის მფლობელის სახელი და გვარი ჩაწერილია ბარათის მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში;

29. **არაპერსონიფიცირებული ბარათი** - **ბარათი,** რომელიც არ არის **პერსონიფიცირებული ბარათი;**

30. **სადებეტო ბარათი** – **საბარათე ინსტრუმენტი,** რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს **ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომი თანხები;
31. **საკრედიტო ბარათი** – **საბარათე ინსტრუმენტი,** რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს **ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშზე** დაშვებული კრედიტი.

32. **საგადახდო ინსტრუმენტი** – ტექნიკური საშუალება ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის შეთანხმებული პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც საგადახდო მომსახურების მომხმარებელი ახდენს **საგადახდო დავალების** ინიციირებას;

33. **გადამხდელი** - **ბარათის მფლობელი**;

34. **საბარათე ოპერაცია** – **საბარათე სქემის** მიხედვით საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით **საბარათე ინსტრუმენტით**, მათ შორის, **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** შესრულებული სადებეტო და საკრედიტო **გადახდის ოპერაციები,** რომლის საფუძველზე ხდება ოპერაციის თანხის **საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებულ **ანგარიშზე** ასახვა/ბარათის ბალანსის ცვლილება;

35. **ანგარიში** - **საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებული საბანკო ანგარიში ან/და ელექტრონული საფულე, რომელზეც აისახება **გადამხდელისთვის/ბარათის მფლობელისთვის** ხელმისაწვდომი თანხა.

36. **მიმღები** – პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება **საბარათე ოპერაცია;**

37. **PIN/პინი** – **ბარათის მფლობელის** პერსონალური, კონფიდენციალური კოდი, რომელიც გამოიყენება როგორც ბარათის მფლობელის **ავთენტიფიკაციის** ერთ-ერთი ელემენტი.

38. **ემიტენტი** - **პროვაიდერი**, რომელიც ახდენს **საგადახდო ინსტრუმენტის,** მათ შორის **საბარათე ინსტრუმენტის** გამოშვებას.

39. **ემიტენტი სისტემის მონაწილე** - **სისტემის მონაწილე,** რომელიც **სისტემის ოპერატორის** მეშვეობით ასრულებს **საბარათე ინსტრუმენტის** ემიტირებას.

40. **პოს-ტერმინალი** - ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა ან/და ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება: ა) საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მომსახურების ოფისიდან თანხის გასატანად ან ბ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში **საბარათე ინსტრუმენტით** გადახდის განსახორციელებლად, რომელიც საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდასთან ერთად (გარდა ელექტრონული კომერციის ოპერაციისა) შესაძლოა მოიცავდეს ნაღდი ფულის გატანასაც;

41. **ელექტრონული პოს-ტერმინალი** - **ექვაირერის** სისტემაში რეგისტრირებული ვირტუალური **პოს-ტერმინალი** (პროგრამული უზრუნველყოფა), რომლის საშუალებით ინტერნეტსივრცეში ხორციელდება **ელექტრონული კომერციის ობიექტის** სასარგებლოდ საბარათე ოპერაცია, ასევე, ოპერაციის გაუქმების და თანხის დაბრუნების ოპერაციები;

42. **ფიზიკური პოს-ტერმინალი** - ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში **საბარათე ინსტრუმენტით** გადახდის განსახორციელებლად;

43. **ვენდინგ აპარატის პოს-ტერმინალი - ფიზიკური პოს-ტერმინალი**, რომელიც განკუთვნილია თვითმომსახურების აპარატზე - ე.წ. ვენდინგის აპარატზე განთავსებისთვის.

44. **ელექტრონული კომერციის ობიექტი** - სავაჭრო/მომსახურების ობიექტი, რომელიც თავისი საქონლის/მომსახურების გაყიდვას ახდენს **ელექტრონული კომერციის ტერმინალით;**

45. **ექვაირინგი** - საგადახდო მომსახურება, რომელსაც **საგადახდო მომსახურების პროვაიდერი/სისტემის მონაწილე** მიმღებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს და რომელიც მოიცავს **საბარათე ოპერაციის** მიღებასა და დამუშავებას, რის შედეგადაც ფულადი სახსრები აისახება მიმღებთან;

46. **ემიტენტის 3D უსაფრთხოება** - 3D Secure პროტოკოლზე აგებული სერვისი, რომლის საშუალებით **ემიტენტი ელექტრონული კომერციის ტერმინალის** მეშვეობით ინიციირებულ **საბარათე ოპერაციაზე** დასტურს გასცემს მხოლოდ **ბარათის მფლობელის ავთენტიფიკაციის განხორციელების შემდეგ;**

47. **ექვაირერის 3D უსაფრთხოება** – 3D Secure პროტოკოლზე აგებული სერვისი, რომლის საშუალებით **ელექტრონული კომერციის ტერმინალის ექვაირერი** მიმართავს **ემიტენტს ბარათის მფლობელის ავთენტიფიკაციის** მოთხოვნით;

48. **ბარათის მფლობელი** - **საბარათე ინსტრუმენტით** მოსარგებლე იდენტიფიცირებული პირი;

49. **ვირტუალური ბარათი** - ბარათის ფიზიკურად არსებობის გარეშე **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** (სულ მცირე, **ბარათის** ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობა, რომლის საშუალებით ავთენტიფიკაციის შესაბამისი ზომების დაცვით **ბარათის მფლობელს** შეუძლია განახორციელოს გადახდები ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;

50. **უკონტაქტო საბარათე ინსტრუმენტი** - **საბარათე ინსტრუმენტი,** რომელიც ინფორმაციას გადასცემს უკონტაქტო გადაცემის ტექნოლოგიით;

51. **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი** - მოიცავს (ა) **ბარათის** ნომერს; (ბ) **ბარათის** მოქმედების ვადას; (გ) **ბარათის მფლობელის** სახელს და გვარს; და (დ) **ბარათის** საიდენტიფიკაციო კოდს (CVC2 ან CVV2).

52. **საბარათე ქვითარი** – ბანკომატის ან **პოს-ტერმინალის** მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც

ადასტურებს საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდას, **საბარათე ინსტრუმენტის** საშუალებით ნაღდი ფულის გაცემას ან სხვა **საბარათე ოპერაციის** განხორციელებას, ასევე აღნიშნული ოპერაციების წარმატებით განუხორციელებლობის შემთხვევაში ასახავს შესაბამის ინფორმაციას;

53. **ოფლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია **ემიტენტთან** დაკავშირების გარეშე;

54. **ონლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია **ემიტენტის** ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ **ემიტენტის** სახელით;

55. **რეფანდის ოპერაცია (Refund)** - **საბარათე ოპერაციის** საფუძველზე შეძენილი პროდუქტის (საქონლის ან/და მომსახურების) უკან დაბრუნების გამო **საბარათე ოპერაციის** თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია;

56. **რევერსალის ოპერაცია (Reversal)** - **საბარათე ოპერაციის** გაუქმების გამო **საბარათე ოპერაციის** თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია;

57. **პრეავტორიზაციის ოპერაცია** - **ბარათის მფლობელის** საბარათე ანგარიშზე თანხის დროებითი ბლოკირება, რომელიც გამოიყენება სერვისის/პროდუქტის მიღების წინ **ბარათის** მოქმედების და საკმარისი თანხის არსებობის დადასტურების მიზნით;

58. **სადავო ოპერაცია** – **საბაართე ინსტრუმენტის** შესაბამისი **საერთაშორისო საბარათე სქემის** წესებისა და პირობების შესაბამისად, საბაართე ინსტრუმენტით შესრულებული ოპერაციის გაპროტესტების პროცედურა, რომლის შედეგად **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ შესაძლებელია ანგარიშზე დაბრუნდეს ოპერაციის შესაბამისი თანხა;

59. **ურთიერთგაცვლის საკომისიო** - საკომისიო, რომლის გადახდა ხდება **ემიტენტსა** და ექვაირერს შორის თითოეული ოპერაციისთვის;

60. **სტოპ სია** - **სისტემის მონაწილის** მიერ შედგენილი/ფორმირებული **საბარათე ინსტრუმენტების** სია, რომელთა მეშვეობითაც დაუშვებელია/შეზღუდულია **საბარათე ოპერაციის** შესრულება;

61. **სისტემის ტექნიკური მოდულ(ებ)ი** - პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც ხდება **სისტემის მონაწილის** მიერ **სისტემაში** მისთვის დაშვებული ოპერაციების შესრულება;

62. **საავტორიზაციო ლიმიტი** - ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც **ბარათის** მფლობელს აქვს შესაძლებლობა შეასრულოს **საბარათე ოპერაციები**;

63. **სადეპოზიტო თანხა** - **ანგარიშსწორების აგენტთან** ან/და საერთაშორისო საბარათე სქემის მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე საბარათე ოპერაციების შესრულების მიზნით განსათავსებელი თანხა;

64. **ექვაირერი სისტემის მონაწილე** - **სისტემის მონაწილე,** რომელიც ექვაირინგის მომსახურებას აწვდის მიმღებს სისტემის საშუალებით **სისტემის ოპერატორის** მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში;

65. **არაფინანსური საბარათე ტრანზაქცია** - **სხვა ოპერაცია** ან/და **საბარათე ოპერაცია,** რომელიც არ შესრულდა ან/და არ დასრულდა წარმატებით, გარდა **სისტემის ოპერატორის** ბრალით შეუსრულებლობის შემთხვევისა;

66. **ფინანსური საბარათე ტრანზაქცია** - **სხვა ოპერაცია** ან/და **საბარათე ოპერაცია** რომელიც წარმატებით დასრულდა/შესრულდა;

67. **ბარათების შეფუთვის მომსახურება** - **სისტემის ოპერატორის** მიერ **სისტემის მონაწილის** ბრენდირებულ კონვერტებზე კლიენტის მონაცემების დაბეჭდვა, შესაბამისი **ბარათის/პინის** მოთავსება კონვერტში და დალუქვა, შემდგომში **სისტემის მონაწილისთვის** მიწოდების მიზნით.

68. **სისტემაში ჩართვის საფასური** - **სისტემის მონაწილის** მიერ **სისტემის ოპერატორისთვის** გადასახდელი სისტემაში ჩართვის საფასური;

69. **პრეტენდენტი** - პირი, სისტემის პოტენციური მონაწილე, რომელმაც **სისტემის ოპერატორს** მიმართა განაცხადით სისტემით სარგებლობასთან დაკავშირებით;

70. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

71. **პროტოკოლი** - დოკუმენტი, რომელიც აღწერს **სისტემის** სარგებლობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ მოთხოვნებსა და პროცედურებს;

72. **საერთაშორისო საბარათე სქემის დავალება** - **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ გაცემული დავალება, რომელის ითვალისწინებს **სისტემის მონაწილის** ვალდებულებას შეასრულოს **საერთაშორისო საბარათე სქემის** მოთხოვნა, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს **საბარათე**

ოპერაციის დამუშავებისა და **ექვაირინგის** მომსახურებას, მათ შორის დავლება შეიძლება მოითხოვდეს **სისტემის მონაწილის** ტექნიკური განახლებას, **საბარათე ოპერაციების** დამუშავებას განსხვავებული ტექნიკური კოდების გამოყენებით და ა.შ;

73. **ამოცანა** - **საერთაშორისო საბარათე სქემის** დავალების საფუძველზე **სისტემის მონაწილის** მიერ **სისტემის ოპერატორის** მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები **საერთაშორისო საბარათე სქემის დავალების** შესრულებასთან დაკავშირებით ან/და **სისტემის მონაწილის** მოთხოვნა ახალი მომსახურების დანერგვასთან დაკავშირებით;

74. **ბანკომატი** - თვითმომსახურების მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია **ანგარიშიდან** ნაღდი ფულის გატანა, ასევე, **კანონმდებლობითა** და სისტემის მონაწილის მიერ განსაზღვრული სხვა ოპერაციების შესრულება;

75. **წვდომის კოდი** - **PIN/პინი, ემიტენტის 3D უსაფრთხოება , ექვაირერის 3D უსაფრთხოება;**

76. **საკომისიო / სისტემით სარგებლობის საფასური** - **სისტემის მონაწილის** მიერ **სისტემის ოპერატორისთვის** გადასახდელი **საკომისიო სისტემის** საშუალებით მიღებული მომსახურების სანაცვლოდ (მათ შორის **სისტემაში ჩართვის საფასური** და **სისტემით მომსახურების საფასური**). **საკომისიო** გადაიხდება იმ მომსახურებაზე, რომლის საფასური განსაზღვრულია **სისტემის წესებში,** ასევე ყველა **ამოცანაზე,** რომლის შესრულება იწვევს **სისტემის ოპერატორის** დამატებით სამუშაოებს;

77. **Host-to-Host კავშირი** - **ემიტენტ სისტემის მონაწილესა** და სხვა სისტემის ოპერატორს/საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის აწყობილი ელექტრონული კავშირი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია **სისტემის ოპერატორის** მიერ ემიტირებული **საბარათე ინსტრუმენტებით საბარათე ოპერაციის** შესრულება იმ სხვა სისტემის ოპერატორს ან/და იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მომსახურებაში არსებულ მიმღებთან, რომლებიც არ არიან **სისტემის მონაწილე**;

78. **ტოკენიზაცია** - **საბარათე ინსტრუმენტის** უნიკალური კავშირის შექმნა კონკრეტულ მოწყობილობასთან ან/და კონკრეტული მიმღების სასარგებლოდ, რომლის შედეგად გენერირდება უნიკალური კოდი/ტოკენი, რომელიც იძლევეა **ბარათის** იდენტიფიცირების საშუალებას **საბარათე ოპერაციის** ინიციირებისას;

79. **ავტორიზაციის გვერდი** - **ელექტრონულ პოს-ტერმინალზე საბარათე ოპერაციის ინიცირებისთვის** ელექტრონული ინტერნეტ გვერდი, რომელშიც შეიყვანება **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები**

ან/და **წვდომის კოდები;**

80. **დახურული საბარათე ოპერაცია** - ერთი **სისტემის მონაწილის** მიერ ემიტირებული **საბარათე ინსტრუმენტით** შესრულებული **საბარათე ოპერაცია,** ამავე **სისტემის მონაწილის ექვაირინგის** ფარგლებში;

81. **საგადახდო აპლიკაცია** – მოწყობილობაში ჩაწერილი პროგრამული უზრუნველყოფა ან მისი ეკვივალენტი, რომლითაც შესაძლებელია **ბარათით** გადახდის ოპერაციის ან განაღდების ოპერაციის ინიციირება და შესაბამისი დავალების გაცემა;

82. **სხვა ოპერაცია** - **საბარათე ინსტრუმენტით/ბარათით** შესრულებული ნებისმიერი ქმედება/ოპერაცია, რომელიც არ არის **საბარათე ოპერაცია;**

83. **სამუშაო დღე** - დღე (შაბათის, კვირის ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც **სისტემის ოპერატორი** წარმართავს თავის საქმიანობას.

84. **RSA Token** - ფიზიკური მოწყობილობა ან ელექტრონული აპლიკაცია, რომელიც **სისტემის მონაწილისთვის**, **სისტემის ოპერატორის** მიერ მინიჭებული პერსონალური იდენტიფიკაციის საშუალებებთან ერთად, უზრუნველყოფს ერთჯერადი წვდომის კოდის (ტოკენკოდის) გენერაციას **სისტემის მონაწილის** მიერ **სისტემაზე** წვდომის ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციისთვის;

85. **ფორს-მაჟორი - კანონმდებლობით** გათვალისწინებული საგანგებო მდგომარეობა, საომარი მდგომარეობა ან სხვა დაუძლეველი ძალა, მათ შორის სტიქიური კატასტროფა, ხანძარი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და **სისტემის მონაწილისთვის** ან/და **სისტემის ოპერატორისთვის** გადაულახავი და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომლიც: ა) არ არის დაკავშირებული **სისტემის მონაწილის** / **სისტემის ოპერატორის** შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა **ხელშეკრულების** ხელმოწერის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს **ხელშეკრულებით** და წინამდებარე **სისტემის წესებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე.

2. **სისტემის** ზოგადი აღწერა

2.1. **სისტემა** წარმოადგენს **სისტემის ოპერატორის** მიერ შექმნილ ტექნიკური უზრუნველყოფისა და წესების ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია:

- **ლოკალურ საბარათე სქემაში** ჩართული **საბარათე ინსტრუმენტის** ემიტირება **და, ლოკალურ საბარათე სქემაში** ჩართული **საბარათე ინსტრუმენტით საბარათე ოპერაციის** შესრულება.

- **საერთაშორისო საბარათე სქემაში** ჩართული საბარათე ინსტრუმენტის ემიტირება და ამ **საბარათე ინსტრუმენტით საბარათე ოპერაციის** შესრულება.
- **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ **სისტემის მონაწილისთვის** გაცემული **ექვაირინგის** ლიცენზიის საფუძველზე, **საერთაშორისო საბარათე სქემაში** ჩართული ნებისმიერი **საბარათე ინსტრუმენტებით საბარათე ოპერაციის** მიმღების სასარგებლოდ დამუშავება.

3. სისტემის ოპერატორის მომსახურების ჩამონათვალი

3.1. **სისტემის** საშუალებით **სისტემის მონაწილე** უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის ძირითადი მომსახურება:

3.1.1. **ბარათების ემიტირება**;

3.1.2. **საბარათე ოპერაციის დამუშავება** და **სხვა ოპერაციების** შესრულება;

3.1.3. **სისტემის** საშუალებით შესრულებულ **საბარათე ოპერაციების** შესახებ მონაცემთა ბაზის წარმოება;

3.1.4. **ექვაირინგის მომსახურება**;

3.1.5. **კლირინგი** და **კლირინგის ფაილების** გავცლა, ანგარიშგების მიწოდება;

3.1.6. **ანგარიშსწორება**, რომელსაც უზრუნველყოფს **ანგარიშსწორების აგენტი.**

3.2. **სისტემის ოპერატორის** დამატებითი მომსახურება:

3.2.1. **ბარათების** შეფუთვის მომსახურება;

3.2.2. **RSA Token** ლიცენზიის - RSA SecurID-ს გაცემა ან/და **სისტემასთან** თავსებადობის მიზნით **RSA Token-ის** კონფიგურაცია. ამასთან, **სისტემის მონაწილისთვის RSA Token** ლიცენზიის გადაცემა ან/და **RSA Token-ის** კონფიგურაცია, განხორციელდება მხარეთა დამატებითი კომუნიკაციის საფუძველზე.

3.3. **სისტემის ოპერატორის** ფარგლებში **ანგარიშსწორებას** უზრუნველყოფს **ანგარიშსწორების აგენტი, სისტემის მონაწილესა** და **ანგარიშსწორების აგენტს** შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

4. ბარათების ემიტირება

4.1. **ბარათების ემიტირება**

4.1.1. **სისტემის** საშუალებით შესაძლებელია როგორც **საერთაშორისო საბარათე სქემაში** ჩართული **ბარათების** ემიტირება, ასევე **სისტემის ოპერატორის ლოკალურ საბარათე სქემაში** ჩართული **ბარათების** ემიტირება.

4.1.2. **საერთაშორისო საბარათე სქემაში** ჩართული **ბარათის** ემიტირებისას, **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს ფიზიკური ბარათის შემთხვევაში, ფიზიკური **ბარათის პლასტიკის** დამზადებას, **პერსონალიზაციასა** და **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** ემბოსირებას **პლასტიკზე**, ხოლო **ვირტუალური ბარათის** შემთხვევაში **პერსონალიზაციასა** და ელექტრონულად **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** დატანას. ამასთან, **სისტემის ოპერატორი ბარათის** ემიტირებისას ბარათზე დაიტანს **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ მოწოდებულ **BIN** და **BINR-ს**, რომლის შესაბამისი **PAN**-იც დაგენერირდება.

4.1.3. **ლოკალური საბარათე სქემაში** ჩართული **ბარათის** ემიტირებისას, **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს მხოლოდ ფიზიკური ბარათის დამზადებას, რომელიც მოიცავს ფიზიკური ბარათის **პლასტიკის** დამზადებას, **პერსონალიზაციასა** და **ბარათ**ის საიდენტიფიკაციო მონაცემების ემბოსირებას **პლასტიკზე**, მათ შორის ჩიპზე. **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** ჩამონათვალი განისაზღვრება **სისტემის მონაწილისა** და **სისტემის ოპერატორის** შეთანხმებით. ამასთან, **სისტემის ოპერატორი ბარათის** ემიტირებისას **ბარათზე** დაიტანს მის მიერ მინიჭებულ **BIN** და **BINR**-ს, რომლის შესაბამისი **PAN**-იც დაგენერირდება. საჭიროების შემთხვევაში **სისტემის ოპერატორი** უზიარებს **სისტემის მონაწილეს** მისთვის მინიჭებულ **BINR**-ს.

4.1.4. **ლოკალური ბარათების** საშუალებით შესაძლებელია მხოლოდ **ექვაირერი სისტემის მონაწილის ექვაირინგში** არსებულ მოწყობილობებში **საბარათე ოპერაციების** შესრულება.

4.2. **საერთაშორისო საბარათე სქემაში** ჩართული **ბარათების** ემიტირება

4.2.1. **საერთაშორისო საბარათე სქემაში** ჩართული **ბარათების** ემიტირებისთვის სავალდებულოა, რომ:

4.2.1.1. **სისტემის მონაწილეს** ჰქონდეს შესაბამისი **საერთაშორისო საბარათე სქემის** ლიცენზია/ნებართვა, რომლითაც **სისტემის მონაწილეს** ექნება უფლება განახორციელოს შესაბამისი **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში **ბარათების** ემიტირება და **საბარათე ოპერაციების** შესრულება.

4.2.1.2. **საერთაშორისო საბარათე სქემასთან ანგარიშსწორების** მიზნით **ემიტენტ სისტემის მონაწილეს** ჰქონდეს შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობა **საერთაშორისო საბარათე სქემასთან** და **ანგარიშსწორების აგენტთან საბარათე ოპერაციების** დაკავშირებულ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით ან **ემიტენტ სისტემის მონაწილეს** ჰქონდეს შესაბამისი სამმხრივი

სახელშეკრულებო ურთიერთობა **საერთაშორისო საბარათე სქემასა** და სხვა **სისტემის მონაწილესთან,** რომელიც იქნება ემიტენტი **სისტემის მონაწილის** წარმომადგენელი **საერთაშორისო საბარათე სქემაში** ემიტრებული **საბარათე ინსტრუმენტებით** შესრულებულ **საბარათე ოპერაციისთან** დაკავშირებული ანგარიშსწორების მიზნით.

4.2.1.3. **სისტემის მონაწილე** ვალდებულია უზრუნველყოს **საერთაშორისო საბარათე სქემის** მოთხოვნების/წესების/პირობების სრული დაცვა.

4.3. ლოკალურ საბარათე სქემაში ჩართული **ბარათების** ემიტირება

4.3.1. **ლოკალური საბარათე სქემაში** ჩართული **ბარათების** ემიტირებისთვის სავალდებულოა, რომ:

4.3.2. ემიტენტ **სისტემის მონაწილეს** ჰქონდეს სხვა **სისტემის მონაწილესთან** სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლითაც საშუალება ექნება **სისტემის მონაწილის ბარათებით** შესრულდეს **საბარათე ოპერაციები** სხვა **სისტემის მონაწილის ექვაირინგის** ფარგლებში.

4.3.3. ემიტენტ **სისტემის მონაწილეს** ჰქონდეს **ანგარიშსწორების აგენტთან** განთავსებული **საბარათე ოპერაციების** შესრულებისთვის საკმარისი თანხა, იმ ფორმით, რომ აღნიშნული თანხაზე წვდომა ჰქონდეს და აკონტროლოს იმ სხვა **სისტემის მონაწილემ,** რომლის **ექვაირნგში** შესაძლებელია **ლოკალური ბარათებით საბარათე ოპერაციის** შესრულება.

4.4. საერთაშორისო საბარათე სქემის მოთხოვნები

4.4.1. **საერთაშორისო საბარათე სქემის** მოთხოვნების იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელია **სისტემის მონაწილე**. **სისტემის მონაწილე,** როგორც **საერთაშორისო საბარათე სქემის** ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მუდმივად ჰქონდეს ინფორმაცია **საერთაშორისო საბარათე სქემის** ნებისმიერი ახალი მოთხოვნის შესახებ, **სისტემის მონაწილე** ვალდებულია დააიდენტიფიციროს **საერთაშორისო საბარათე სქემის დავალება** ეხება თუ არა **სისტემის მონაწილეს** და ამ მოთხოვნების შესრულებაზე არსებობს თუ არა დამოკიდებულება **სისტემის ოპერატორზე.**

4.4.2. იმ შემთხვევაში, თუ **სისტემის მონაწილე** დაადგენს, რომ **საერთაშორისო საბარათე სქემის დავალების** შესრულება სავალდებულოა **სისტემის მონაწილისთვის, სისტემის მონაწილე** აინიცირებს **ამოცანას სისტემის ოპერატორთან საერთაშორისო საბარათე სქემის დავალების** შესრულებასთან დაკავშირებით.

4.4.3. იმ შემთხვევაში თუ **ამოცანის** შესრულება იწვევს **სისტემის ოპერატორის** მიერ დამატებით მნიშვნელოვან სამუშაოებს, **სისტემის ოპერატორი** და **სისტემის მონაწილე** ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ **ამოცანის** შესრულების **საკომისიოს**.

4.4.4. **სისტემის ოპერატორი** გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს **საერთაშორისო საბარათე სქემის**

დავალების გარჩევას და აწვდის **სისტემის მონაწილეს** ინფორმაციას **ამოცანის** შესრულების ვადებთან და **ამოცანის** შესრულების ხარჯებთან დაკავშირებით. **სისტემის მონაწილე** იღებს გადაწყვეტილებას **ამოცანის** შესრულებასთან დაკავშირებით.

4.5. საბარათე ოპერაციის დამუშავება

4.5.1. **ლოკალური ბარათებით საბარათე ოპერაციების** დამუშავება (ფინანსური საბარათე ტრანზაქცია):

4.5.1.1. **ლოკალური ბარათებით საბარათე ოპერაციების** დამუშავებისთვის სავალდებულოა, რომ **ემიტენტი სისტემის მონაწილეს** ჰქონდეს **ექვაირერ სისტემის მონაწილესთან** სახელშეკრულებო ურთიერთობა ან/და ჰქონდეს **სისტემის ოპერატორის** თანხმობით **Host-to-Host კავშირი** სხვა სისტემის ოპერატორთან ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან.

4.5.1.2. **ლოკალური ბარათებით საბარათე ოპერაციების** დამუშავებისას **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს კავშირს **ექვაირერ სისტემის მონაწილესა** და **ემიტენტ სისტემის მონაწილეს** შორის, რა დროსაც **საბარათე ოპერაცია** შესრულდება, თუ დაკმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

4.5.1.2.1. **საბარათე ინსტრუმენტ**ის მოქმედების ვადა არ იქნება გასული;

4.5.1.2.2. **საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებულ ანგარიშზე ან/და ბალანსზე იქნება ხელმისაწვდომი ნაშთი, მათ შორის გადახარჯვის ხარჯზე, თუ **ემიტენტ სისტემის მონაწილის** მიერ დაიშვება გადახარჯვის ხარჯზე **საბარათე ოპერაციის** შესრულება;

4.5.1.2.3. **საბარათე ინსტრუმენტი** არ იქნება დაბლოკილი/დაჯავშნილი;

4.5.1.2.4. **საბარათე ოპერაცია** იქნება დადასტურებული **წვდომის კოდებით,** თუ **ემიტენტი სისტემის მონაწილე** ითხოვს **წვდომის კოდებით საბარათე ოპერაციის დადასტურებას.**

4.5.2. **საბარათე ოპერაციის მომსახურების** ფარგლებში დამატებით შესაძლებელია შემდეგი მომსახურებით სარგებლობა:

4.5.2.1. **ემიტენტის 3D უსაფრთხოების** დანერგვა ან/და ჩართვა/გამორთვა;

4.5.2.2. **ბარათზე ბარათის მფლობელის** მიერ **სისტემის მონაწილის** დისტანციური არხების საშუალებით **ბარათის პინ კოდის** ცვლილება;

4.5.2.3. **ტოკენიზაცია;**

4.5.2.4. **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** გამოჩენა **სისტემის მონაწილის** დისტანციურ არხებში;

4.5.3. იმ შემთხვევაში, თუ **სისტემის მონაწილეს** სურს **ამოცანის საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებით დამატებითი მომსახურების მიღება, **სისტემის მონაწილემ** უნდა დაარეგისტრიროს **ამოცანა.** იმ შემთხვევაში თუ **ამოცანის** შესრულება იწვევს **სისტემის**

ოპერატორის მიერ დამატებით მნიშვნელოვან სამუშაოებს, **სისტემის ოპერატორი** და **სისტემის მონაწილე** ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ **ამოცანის** შესრულების საკომისიოს.

4.5.4. **სისტემის ოპერატორი** გონივრულ ვადაში აწვდის **სისტემის მონაწილეს** ინფორმაციას **ამოცანის** შესრულების ვადებთან და **ამოცანის** შესრულების ხარჯებთან დაკავშირებით. **სისტემის მონაწილე** იღებს გადაწყვეტილებას **ამოცანის** შესრულებასთან დაკავშირებით.

4.5.5. **Host-to-Host კავშირის** საშუალებით **საბარათე ოპერაციების** დამუშავება.

4.5.5.1. **ლოკალური ბარათებით საბარათე ოპერაციების** დამუშავება **Host-to-Host კავშირის** საშუალებით შესაძლებელი იქნება მხოლოდ **სისტემის ოპერატორის** თანხმობის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში თუ სისტემის ოპერატორი თანხმაა **Host-to-Host კავშირის** შექმნაზე, **სისტემის ოპერატორსა** და სხვა სისტემის ოპერატორთან ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან იდება შეთანხმება **Host- to-Host კავშირ**ის შექმნასთან დაკავშირებით.

4.5.5.2. **Host-to-Host კავშირის** შექმნის შედეგად, **საბარათე ინსტრუმენტის** მონაცემები გადაეცემა **ექვაირერ სისტემის ოპერატორს,** რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება, რომ შესრულდეს **ლოკალური ბარათების საბარათე ოპერაციები.**

4.5.5.3. **ლოკალური ბარათების საბარათე ოპერაციების** შესრულებისას:

4.5.5.3.1. **საბარათე ოპერაციის** შესრულებასთან დაკავშირებით **ემიტენტ სისტემის მონაწილესა** და **ექვაირერ სისტემის ოპერატორს** შორის უნდა დაიდოს/გაფორმდეს შეთანხმება.

4.5.5.3.2. **საბარათე ოპერაციის** შესრულებაზე, მის დამუშავებაზე სრულად პასუხისმგებლები არიან **ემიტენტ სისტემის მონაწილე** და **ექვაირერ სისტემის ოპერატორი**.

4.5.5.3.3. **საბარათე ოპერაციის** შესრულებაში, მის დამუშავებაში, მონაწილეობას არ იღებს **სისტემის ოპერატორი.**

4.5.5.3.4. **სისტემის მონაწილე** და **ექვაირერ სისტემის ოპერატორი** ვალდებულნი არიან ყოველი კალენდარული თვის ბოლოს, თითოეულმა დამოუკიდებლად წარუდგინონ **სისტემის ოპერატორს Host-to-Host კავშირის** საშუალებით შესრულებული **საბარათე ოპერაციების** ამონაწერი.

4.5.5.3.5. **Host-to-Host კავშირის** საშუალებით შესრულებული **საბარათე ოპერაციების** ამონაწერი უნდა მოიცავდეს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ინიცირებული **საბარათე ოპერაციების** სრული რაოდენობას, შესრულებული **საბარათე ოპერაციების** სრული რაოდენობას, შესრულებული **საბარათე ოპერაციების** თანხობრივ ჯამს შესაბამის ვალუტაში.

4.5.5.3.6. იმ შემთხვევაში თუ **ექვაირერ სისტემის ოპერატორისა** და **ემიტენტ სისტემის მონაწილეს** შორის მოწოდებულ ინფორმაციებს შორის იქნება სხვაობა, **სისტემის ოპერატორი** ადგენს ხარვეზის მიზეზს, ადარებს მონაცემებს, როგორც **ექვაირერ სისტემის ოპერატორთან,** ისე **ემიტენტ სისტემის მონაწილესთან**. ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, **ექვაირერ სისტემის ოპერატორი** და **ემიტენტი სისტემის მონაწილე სისტემის** და **Host-to-Host კავშირით** სარგებლობისთვის **საკომისიო** დაეკისრებათ, მოწოდებული ამონაწერებიდან უდიდესი მაჩვენებლის მიხედვით.

4.5.6. **საერთაშორისო ბარათებით** შესრულებული **საბარათე ოპერაციების** დამუშავება. **(ფინანსური საბარათე ტრანზაქცია)**

4.5.6.1. **საერთაშორისო საბარათე სქემის ბარათებით საბარათე ოპერაციების** დამუშავებისას **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს კავშირს **ექვაირერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა, ემიტენტ სისტემის მონაწილეს** ან/და **საერთაშორისო საბარათე სქემებს** შორის, რა დროსაც **საბარათე ოპერაცია** შესრულდება, თუ დაკმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

4.5.6.1.1. **საბარეთე ინსტრუმენტი** მოქმედების ვადა არ იქნება გასული;

4.5.6.1.2. **საბარეთე ინსტრუმენტთან** დაკავშირებულ ანგარიშზე იქნება ხელმისაწვდომი ნაშთი, მათ შორის გადახარჯვის ხარჯზე, თუ **ემიტენტ სისტემის მონაწილეს** მიერ დაიშვება გადახარჯვის ხარჯზე **საბარათე ოპერაციის** შესრულება;

4.5.6.1.3. **საბარათე ინსტრუმენტი** არ იქნება დაბლოკილი/დაჯავშნილი;

4.5.6.1.4. **საბარათე ოპერაცია** იქნება დადასტურებული **წვდომის კოდებით,** თუ ემიტენტი **სისტემის მონაწილე** ითხოვს წვდომის კოდებით საბარათე ოპერაციის დადასტურებას.

4.5.6.1.5. **საერთაშორისო საბარათე სქემის** იმ ექვაირერის სასარგებლოდ, რომელიც არ არის **სისტემის მონაწილე** შესრულებულ **საბარათე ოპერაციასთან** მიმართებაში, ასეთი **საბარათე ოპერაციის** შესრულება დაშვებული იქნება იმ ექვაირერის მიერ.

4.5.6.1.6. შესაძლებელი იქნება **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში **საბარათე ოპერაციასთან** დაკავშირებით ინფორმაციის მიმოცვლა, თუ **საბარათე ოპერაცია** სრულდება **საერთაშორისო საბარათე სქემის** იმ ექვაირერის სასარგებლოდ, რომელიც არ არის **სისტემის მონაწილე.**

4.5.7. **საბარათე ოპერაციის** ლიმიტები ან/და შეზღუდვები.

4.5.7.1. **საბარათე ინსტრუმენტზე** შესაძლებელია დაწესებული იყოს **საბარათე ოპერაციის** ლიმიტი,

როგორც ერთი **საბარათე ოპერაციის** ფარგლებში **საბარათე ოპერაციის საავტორიზაციო ლიმიტი,** ასევე ჯამურად **ემიტენტი სისტემის მონაწილის** მიერ განსაზღვრული დროის პერიოდში დაწესებული თანხობრივი ლიმიტი, რომლის ზემოთაც **საბარათე ოპერაციის** შესრულება ვერ მოხდება/დაშვებული არ არის. თითოეულ **ბარათთან** მიმართებაში, **საბარათე ოპერაციის** ლიმიტს ადგენს **სისტემის მონაწილე** და აკონტროლებს მას შემდეგი ორი გზით:

4.5.7.2. **ემიტენტი სისტემის მონაწილე სისტემის** ტექნიკური მოდულში არეგისტრირებს **საბარათე ოპერაციის** ლიმიტს, შესაბამისად აღნიშნული ლიმიტის ზემოთ **საბარათე ოპერაციები** არ სრულდება ან

4.5.7.3. **ემიტენტი სისტემის მონაწილე** არ არეგისტრირებს სისტემის ტექნიკურ მოდულში **საბარათე ოპერაციის** ლიმიტს და საკუთარ მხარეს აკონტროლებს მას, რაზეც წვდომა **სისტემის ოპერატორს** არ აქვს. ასეთ შემთხვევაში, **საბარათე ოპერაციის** ინიციირების შესახებ ინფორმაციის მიღებისას **სისტემის მონაწილე** უარყოფს **საბარათე ოპერაციის** შესრულებას.

4.5.7.4. **ემიტენტი სისტემის მონაწილე,** ვალდებულია თავად უზრუნველყოს **საბარათე ოპერაციასთან** დაკავშირებული ლიმიტების/შეზღუდვების, კონტროლი, თუ **სისტემის მონაწილეს**, სურს, რომ **საბარათე ოპერაციასთან** ან/და **საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებული შეზღუვდა/ლიმიტი გაკონტროლდეს **სისტემის ოპერატორის,** მიერ, მაშინ ასეთი შეზღუდვა/ლიმიტის გაწერა უნდა მოხდეს **სისტემის ტექნიკურ მოდულში სისტემის ოპერატორთან** შეთანხმებით.

4.5.7.5. შესაძლებელია **სისტემის მონაწილესა** და **სისტემის ოპერატორს** შორის ურთიერთშეთანხმებით მოეწყოს **საბარათე ინსტრუმენტზე** არსებულ ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიმოცვლა - სინქრონიზაცია, რის შედეგადაც **სისტემის ოპერატორი** უზრუნევლყოფს **საბარათე ოპერაციების** ავტორიზაციას **სისტემის მონაწილის** მიერ მიწოდებული **საბარათე ინსტრუმენტზე** არსებულ ნაშთის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ა. **სისტემის მონაწილის** მხარეს არის ხარვეზი და **სისტემის მონაწილე** ვერ უზრუნველყოფს საბარათე ოპერაციის **ავტორიზაციას** ან/და ბ. **სისტემის მონაწილეს** სურს, რომ **სისტემის ოპერატორმა** უზრუნველყოს **ავტორიზაცია**. იმ შემთხვევაში, თუ **სისტემის მონაწილეს** სურს, რომ **ავტორიზაცია** შეასრულოს **სისტემის ოპერატორმა,** აღნიშნულზე **მხარეთა** შორის დგება დამატებითი შეთანხმება. **სისტემის მონაწილე** სრულად პასუხისმეგებლია სიქნრონიზაციისას მიწოდებულ ინფორმაციაზე, შესაბამისად ამ ინფორმაციის საფუძველზე **სისტემის ოპერატორის** მიერ შესრულებულ **ავტორიზაციაზე, სისტემის ოპერატორი** პასუხს არ აგებს სინქრონიზაციის

შედეგად მიღებულ ინფორმაციის სისწორეზე და ნამდვილობაზე, ამასთან თუ სინქრონიზაციის ფარგლებში შესრულებულ საბარათე ოპერაციაზე წარმოიშვა ნებისმიერი პრეტენზია, მათ შორის სადავო ოპერაცია, **სისტემის მონაწილე** სრულად არის პასუხისმგებელი სინქრონიზაციის ფარგლებში შესრულებულ ავტორიაზაციაზე, და ვალდებულია აანაზღაუროს ნებისმიერი ასეთი ოპერაციის შედეგად დამდგარი ზიანი/ზარალი.

4.5.7.6. **სისტემის ოპერატორის** ფარგლებში, დასაშვებია მხოლოდ **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში **ოფლაინ ოპერაციის** შესრულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ **სისტემის მონაწილესა** და **საერთაშორისო საბარათე სქემას** შორის შეთანხმება ითვალისწინებს ოფლაინ ოპერაციის შესრულებას. **ლოკალურ ბარათებთან** მიმართებაში დაიშვება მხოლოდ **ონლაინ ოპერაციები.**

4.5.8. **სხვა ოპერაციები**

4.5.8.1. **საბართე ინსტრუმენტით** შესრულებული **სხვა ოპერაციების** შესრულება შესაძლებელი იქნება, თუ **სისტემის მონაწილესა** და **სისტემის ოპერატორს** შორის არსებობს შესაბამისი **სხვა ოპერაციების** შესრულების შესაძლებლობა დანერგილი, **სხვა ოპერაცია** შეიძლება მათ შორის იყოს:

4.5.8.1.1. **საბარათე ინსტრუმენტზე** არსებულ ნაშთზე ინფორმაციის მიღება;

4.5.8.1.2. **საბარათე ოპერაციის** ინიცირებისას **წვდომის კოდის** გენერირება;

4.5.8.1.3. **ავტორიზაციის გვერდის** გენერირება ;

4.5.8.1.4. **ტოკენიზაცია;**

4.5.8.2. **ემიტენტის 3D უსაფრთხოების** დანერგვა ან/და ჩართვა/გამორთვა;

4.5.8.3. ნებისმიერი ისეთი ქმედება/ოპერაცია, რომელიც არ არის **საბარათე ოპერაცია.**

4.5.8.4. **ბარათზე ბარათის მფლობელის** მიერ **სისტემის მონაწილის** დისტანციური არხების საშუალებით **ბარათის პინ კოდის** ცვლილება;

4.5.8.5. **სისტემის ოპერატორი, ემიტენტი სისტემის მონაწილის** მიერ ემიტირებული **საბარათე ინსტრუმენტებით** შესრულებულ **საბარათე ოპერაციებისა** და **სხვა ოპერაციების** შესახებ ინფორმაციას ინახავს სისტემის მონაწილის მიერ **კანონმდებლობით** განსაზღვრული ვადით.

4.5.9. **საბარათე ოპერაციის** დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

4.5.9.1. **საბარათე ოპერაციის** ინიცირებისას **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს **ემიტენტ სისტემის მონაწილესთან ავტორიზაციის მოთხოვნის** გაგზავნას, მათ შორის ინფორმაციის მიწოდებას, რომ **საბარათე ინსტრუმენტით** დაინიცირდა **საბარათე ოპერაცია,** რა დროსაც **ემიტენტ სისტემის**

მონაწილეს მიეწოდება ინფორმაცია **საბარათე ოპერაციის** მოცულობის და **ექვაირერი სისტემის მონაწილის** ან **ექვაირერი სისტემის ოპერატორის,** და **მიმღების** შესახებ, რის საფუძველზეც **სისტემის მონაწილე** ადასტურებს ან/და უარყოფს **საბარათე ოპერაციის** შესრულებას ასრულებს **ავტორიზაციას**, ამასთან:

4.5.9.2. იმ შემთხვევაში თუ, **საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებულ ანგარიშზე/ბალასზე არ არის ხელმისავდომი თანხა, მათ შორის გადახარჯვის შესაძლებელობა, თუ სისტემის მონაწილეს წესებით დაშვებულია გადახარჯვის ხარჯზე **საბარათე ოპერაციის** შესრულება, **საბარათე ოპერაციის** შესრულებაზე სისტემის მონაწილე აბრუნებს უარყოფას.

4.5.9.3. იმ შემთხვევაში თუ, **საბარათე ინსტრუმენტით** შეუძლებელია **ოპერაციის** შესრულება **სისტემის მონაწილის** წესებით ან/და პირობებით, **საბარათე ოპერაციის** შესრულებაზე **სისტემის მონაწილე** აბრუნებს უარყოფას.

4.5.9.4. **საბარათე ოპერაციის** ინიციირებისას **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს **საერთაშორისო საბარათე სქემის ფარგლებში** ექვაირინგის უფლების მქონე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვებ-გვერდზე **ელექტრონული პოსტერმინალის** საშუალებით **საბარათე ოპერაციის** ინიციირებისას **ემიტენტი სისტემის მონაწილის ავტორიზაციის გვერდის** გენერირებას, რომელშიც შესაძლებელი იქნება **საბარათე ოპერაციის** დასადასტურებელი **წვდომის კოდების** შეყვანა. ამასთან, **საბარათე ოპერაციის** ინიციირებისას **ემიტენტი სისტემის მონაწილის ავტორიზაციის გვერდის** გენერირება შესაძლებელი იქნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექვაირერი ითხოვს წვდომის კოდებით **საბარათე ოპერაციის** დადასტურებას.

4.5.9.5. იმ შემთხვევაში თუ **ექვაირერი** არ ითხოვს **წვდომის კოდებით საბარათე ოპერაციის** დადასტურებას **საბარათე ოპერაცია** შესრულდება **წვდომის კოდების** გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ **ემიტენტი სისტემის მონაწილეს** არ აქვს მოთხოვნილი, რომ **წვდომის კოდების** გარეშე არ შესრულდეს **საბარათე ოპერაცია.**

4.5.10. იმ შემთხვევაში, თუ **სისტემის მონაწილეს** სურს **ამოცანის საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებით დამატებითი მომსახურების მიღება, **სისტემის მონაწილემ** უნდა დაარეგისტრიროს **ამოცანა.** იმ შემთხვევაში თუ **ამოცანის** შესრულება იწვევს **სისტემის ოპერატორის** მიერ დამატებით მნიშვნელოვან სამუშაოებს, **სისტემის ოპერატორი** და **სისტემის მონაწილე** ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ **ამოცანის** შესრულების **საკომისიოს.**

4.5.11. **სისტემის ოპერატორი** გონივრულ ვადაში აწვდის **სისტემის მონაწილეს** ინფორმაციას **ამოცანის**

შესრულების ვადებთან და **ამოცანის** შესრულების ხარჯებთან დაკავშირებით. **სისტემის მონაწილე** იღებს გადაწყვეტილებას **ამოცანის** შესრულებასთან დაკავშირებით.

4.5.12. **ოფლაინ ოპერაცია** სისტემაში დაიშვება, მხოლოდ **სისტემის ოპერატორის** მიერ მოთხოვნის (ლოკალური და საერთაშორისო **კანონმდებლობის** შესაბამისად დადგენილი წესით) შემთხვევაში.

4.5.13. **საერთაშირისო ბარათებით** შესრულებულ **საბარათე ოპერაციის** გასაჩივრებასთან დაკავშირებით კომუნიკაციას **საერთაშორისო საბარათე სქემასთან სისტემის მონაწილე** ასრულებს **სისტემის ოპერატორისგან** დამოუკიდებლად.

4.5.14. **ლოკალური ბარათებით** შესრულებულ **საბარათე ოპერაციის** გასაჩივრებასთან დაკავშირებით კომუნიკაციას **სისტემის ოპერატორთან** კომუნიკაცია შესაძლებელია support@gc.ge ელექტრონულ ფოსტაზე **სისტემის მონაწილის** მიერ **სისტემის ოპერატორთან** დაფიქსირებულ საკონტაქტო ელექტრონული ფოსტიდან მომართვის გზით.

4.5.15. **სტოპ სიის** წარმოებას **სისტემის მონაწილე** ასრულებს დამოუკიდებლად შემდეგი გზებით:

4.5.15.1. **საერთაშორისო ბარათებთან** მიმართებაში, **სისტემის მონაწილე** დამოუკიდებლად **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ **სისტემის მონაწილისთვის** გამოყოფილი ინტერნეტპორტალის საშუალებით.

4.5.15.2. **ლოკალურ ბარათებთან** მიმართებაში, **სისტემის მონაწილე** დამოუკიდებლად **სისტემის ტექნიკური მოდულის** გამოყენებით.

4.5.16. იმ შემთხვევაში თუ **სისტემის მონაწილეს** სურს **საბარათე ინსტრუმენტის** დაბლოკვა/განბლოკვა, **სისტემის მონაწილე** დამოუკიდებლად უზრუნველყოფს აღნიშნულს **სტოპ სიის** წარმოებით ან/და **საბარათე ინსტრუმენტის** დაბლოკვა/განბლოკვის გზით, იმ შემთხვევაში თუ **სისტემის მონაწილეს** ტექნიკური მიზეზით არ შეუძლია **საბარათე ინსტრუმენტის** დაბლოკვა/განბლოკვა, **სისტემის მონაწილემ** უნდა გაუგზავნოს შესაბამისი შინაარსის დავალება **სისტემის ოპერატორს** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: support@gc.ge რომლის შემდგომ **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს დაბლოკვა/განბლოკვას.

4.6. ექვაირინგი

4.6.1. **სისტემის მონაწილეს** რომელსაც სურს **ექვაირინგის** მომსახურება უნდა ქონდეს შესაბამისი **საერთაშორისო საბარათე სქემის** ლიცენზია/ნებართვა, რომლითაც **სისტემის მონაწილეს** ექნება უფლება განახორციელოს შესბამისი **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში **ექვაირინგი**,

ამასთან, **საერთაშორისო საბარათე სქემასთან ანგარიშსწორების** მიზნით **ექვაირერ სისტემის მონაწილეს** უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობა **საერთაშორისო საბარათე სქემასთან ანგარიშსსწორებასთან** დაკავშირებით ან ჰქონდეს შესაბამისი სამმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა **საერთაშორისო საბარათე სქემასა** და **სხვა სისტემის მონაწილესთან,** რომლებიც იქნება **ექვაირერი სისტემის მონაწილის** სასარგებლოდ შესრულებულ **საბარათე ოპერაციასთან** დაკავშირებული ანგარიშსწორების მიზნით.

4.6.2. **ექვაირინგის მომსახურების** ფარგლებში შესაძლებელია, სამი ტიპის მომსახურების მიღება: **ელექტრონული პოს-ტერმინალის** საშუალებით **ექვაირინგის მომსახურების** მიღება, **ფიზიკური პოს-ტერმინალის** საშუალებით **ექვაირინგის მომსახურების** მიღება და ბანკომატის საშუალებით **ექვაირინგის მომსახურების** მიღება. ამასთან, **ფიზიკური პოს-ტერმინალის** საშუალებით **ექვაირინგის მომსახურების** მიღების შემთხვევაში, **სისტემის მონაწილე** უფლებამოსილია ისარგებლოს **ვენდგინგ აპარატის პოს-ტერმინალის** მომსახურებით (დამოუკიდებლად, მხოლოდ **ვენდგინგ აპარატის პოს-ტერმინალის** მომსახურებით სარგებლობა შეუძლებელია).

4.6.3. **ექვაირინგის მომსახურება** მათ შორის მოიცავს:

4.6.3.1. **ფიზიკური პოს ტერმინალების** მომსახურებას, რომელიც მოიცავს:

4.6.3.1.1. პოს ტერმინალის რეგისტრაციას;

4.6.3.1.2. ტექნიკური გამართვას;

4.6.3.1.3. პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრაციასა და მის შემდგომი ტექნიკურ მომსახურებას;

4.6.3.1.4. კონკრეტულ პოს-ტერმინალზე **მიმღების** გაწერას;

4.6.3.1.5. პოს-ტერმიანლის მიმღებისთვის მიწოდებას;

4.6.3.1.6. პოს-ტერმიანლის ტექნიკური ხარვეზის გასწორებას;

4.6.3.1.7. პოს-ტერმინალის გაუქმებას;

4.6.3.2. **ელექტრონული პოს-ტერმინალის** მომსახურება, რომელიც მოიცავს:

4.6.3.2.1. ელექტრონული პოს ტერმინალის რეგისტრაციას;

4.6.3.2.2. ტექნიკურ გამართვას;

4.6.3.2.3. პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრაციასა და მის შემდგომ ტექნიკურ მომსახურებას;

4.6.3.2.4. კონკრეტულ პოს-ტერმინალზე **მიმღების** გაწერას;

4.6.3.2.5. **პოს-ტერმინალის** მიმღებისთვის მიწოდებას;

4.6.3.2.6. **პოს-ტერმინალის** ტექნიკური ხარვეზის გასწორებას;

4.6.3.2.7. **პოს-ტერმინალის** გაუქმებას;

4.6.3.3. **ბანკომატის მომსახურება, რომელიც მოიცავს:**

4.6.3.3.1. **ბანკომატის რეგისტრაციას;**

4.6.3.3.2. **ბანკომატის გაუქმებას;**

4.6.4. **ექვაირინგის მომსახურების** საშუალებით შესაძლებელი იქნება შესაბამისი **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში ემიტირებული **საბარათე ინსტრუმენტით საბარათე ოპერაციის** შესრულება. **სისტემის მონაწილესა** და **სისტემის ოპერატორს** შორის ურთიერთშეთანხმებით, შესაძლებელია **პოს-ტერმინალზე საავტორიზაციო ლიმიტის** დაწესება.

4.6.4.1. **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში **საბარათე ინსტრუმენტებით საბარათე ოპერაციების** შესრულებისთვის **ექვაირერ საგადახდო მომსახურების მონაწილესა** და **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში ემიტირებულ **საბარათე ინსტრუმენტების** ემიტენტს შორის დგება კავშირი, რა დროსაც **საბარათე ოპერაცია** შესრულდება, თუ დაკმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

4.6.4.1.1. **საბარეთე ინსტრუმენტი** ემიტენტი დაადასტურებს საბარათე ოპერაციის შესრულებას;

4.6.4.1.2. **საბარათე ოპერაცია** იქნება დადასტურებული **წვდომის კოდებით,** თუ **ექვაირერი სისტემის მონაწილე** ითხოვს **წვდომის კოდებით საბარათე ოპერაციის** დადასტურებას.

4.6.4.1.3. **საბარათე ოპერაციის** შესრულება დაშვებული იქნება იმ ექვაირერი სისტემის მონაწილის მიერ.

4.6.4.1.4. შესაძლებელი იქნება **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში **საბარათე ოპერაციასთან** დაკავშირებით ინფორმაციის მიმოცვლა, თუ **საბარათე ოპერაცია** სრულდება **საერთაშორისო საბარათე სქემის** იმ ემიტენტის მიერ ემიტირებული **საბარათე ინსტრუმენტით,** რომელიც არ **არის სისტემის მონაწილე.**

4.6.5. **ელექტრონული პოს-ტერმინალის** საშუალებით **ექვაირინგის მომსახურების** გაწევისთვის, **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს **ექვაირერი სისტემის მონაწილისთვის ავტორიზაციის გვერდის** გენერირებას, რომელშიც უნდა იქნეს შეყვანილი ის **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები,** რომლის შეყვანა სავალდებულოა **საბარათე ოპერაციის** დადასტურებისთვის.

4.6.6. იმ შემთხვევაში თუ **ექვაირერ სისტემის მონაწილეს** სურს, რომ **საბარათე ოპერაციის** დადასტურება დამატებით განხორციელდეს **წვდომის კოდებით,** აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს **სისტემის ოპერატორს.**

4.6.7. **ექვაირინგის მომსახურების** ფარგლებში დამატებით შესაძლებელია შემდეგი მომსახურებით სარგებლობა:

4.6.7.1. **საბარათე ინსტრუმენტის** დამახსოვრების ფუნქციონალი - ელექტრონული პოსტერმინალის შემთხვევაში;

4.6.7.2. დამახსოვრებული საბარათე ინსტრუმენტის გადახდის ფუნქციონალი - ელექტრონული

პოსტერმინალის შემთხვევაში;

4.6.7.3. **რეფანდის ოპერაცია (Refund)** ფუნქციონალი

4.6.7.4. **რევერსალის ოპერაცია (Reversal)** ფუნქციონალი

4.6.7.5. პრეავტორიზაციის დაწყების და დასრულების ფუნქციონალი

4.6.7.6. **სისტემის მონაწილის** ბანკომატების ქსელის მომსახურება **სისტემის მონაწილის** ემიტირებული **საბარათე ინსტრუმენტებით** შესრულებული **საბარათე ოპერაციის** დამუშავება.

4.6.7.7. **ექვაირერის 3D უსაფრთხოების** დანერგვა ან/და ჩართვა/გამორთვა;

4.6.8. იმ შემთხვევაში, თუ **სისტემის მონაწილეს** სურს ამოცანის **საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებით დამატებითი მომსახურების მიღება, **სისტემის მონაწილემ** უნდა დაარეგისტრიროს **ამოცანა.** იმ შემთხვევაში თუ **ამოცანის** შესრულება იწვევს **სისტემის ოპერატორის** მიერ დამატებით მნიშვნელოვან სამუშაოებს, **სისტემის ოპერატორი** და **სისტემის მონაწილე** ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ **ამოცანის** შესრულების საკომისიოს.

4.6.9. **სისტემის ოპერატორი** გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს აწვდის **სისტემის მონაწილეს** ინფორმაციას **ამოცანის** შესრულების ვადებთან და **ამოცანის** შესრულების ხარჯებთან დაკავშირებით. **სისტემის მონაწილე** იღებს გადაწყვეტილებას **ამოცანის** შესრულებასთან დაკავშირებით.

4.7. კლირინგი

4.7.1. **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს **სისტემის მონაწილეს სისტემის** საშუალებით შესრულებულ **საბარათე ოპერაციების** კლირინგის ფაილებით.

4.7.2. **კლირინგის** ფაილში მოცემული იქნება დამოუკიდებლად თითოეული **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში შესრულებული/დამუშავებული **საბარათე ოპერაციები** ცალ-ცალკე როგორც **ემიტენტი სისტემის მონაწილის,** ასევე **ექვაირერი სისტემის** მონაწილის ჭრილში.

4.7.3. **კლირინგის** ფაილი **სისტემის მონაწილეს** ეგზავნება შესაბამისი **კლირინგის** ფაილის გენერაციის სიხშირით.

4.7.4. **სისტემის ოპერატორი საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში შესრულებულ **საბარათე ოპერაციებთან** მიმართებაში **კლირინგის** ფაილებს აგენერირებს **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ მოწოდებული ფაილების საფუძველზე, **საერთაშორისო საბარათე სქემის** პრინციპის შესაბამისად. ამასთან, თუ **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში ემიტირებული ბარათებით **საბარათე ოპერაცია** არის დახურული **საბარათე ოპერაცია,** ასეთ შემთხვევაში

კლირინგის ფაილს აგენერირებს **სისტემის ოპერატორი**, გარდა იმ შემთხვევისა თუ **საბარათე ოპერაცია** შესრულებულია საგადახდო აპლიკაციის საშუალებით.

4.7.5. **სისტემის ოპერატორი ლოკალური საბარათე სქემის** ფარგლებში შესრულებულ **საბარათე ოპერაციებთან** მიმართებაში **კლირინგის** ფაილებს აგენერირებს მისი საშუალებით ემიტირებული **ლოკარული ბარათებით** შესრულებული მხოლოდ იმ ოპერაციების ჭრილში, რომელიც შესრულებულია **სისტემის ოპერატორის** გავლით.

4.8. ანგარიშსწორება

4.8.1. **საერთაშორისო საბარათე სქემის** ფარგლებში შესრულებულ **საბარათე ოპერაციების** ფარგლებში სავალდებულია, რომ **სისტემის მონაწილემ** დაიცვას **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ დადგენილი მოთხოვნები, **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე მუდმივად **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ განსაზღვრული თანხის ოდენობით ნაშთის ქონასთან დაკავშირებით.

4.8.2. **ანგარიშსწორების აგენტი** უზრუნველყოფს **სისტემის მონაწილის საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე ნაშთის მუდმივ შევსებას, რა მიზნითაც ყოველი კალენდარული დღის ბოლოს მოწმდება **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე განთავსებული ნაშთის ოდენობა და აუცილებელ მინიმუმზე ნაკლები ნაშთის არსებობის შემთხვევაში, **სისტემის მონაწილის ანაგარიშსწორების ანგარიშიდან** თანხის გადატანის გზით, ამასთან **საერთაშორისო საბარათე სქემის** მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე თანხის შევსება შესაძლებელია, **საერთაშორისო საბარათე სქემისგან** მიღებული თანხის ფარგლებში, **სისტემის მონაწილისთვის** თანხის გადაცემამდე. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ **სისტემის მონაწილე** ამავდროულად წარმოადგენს **ანგარიშსწორების აგენტს,** ამ **სისტემის მონაწილის საბარათე ოპერაციებთან** დაკავშირებით ანგარიშსწორებაზე სრულად პასუხს აგებს და უზრუნველყოფს **სისტემის მონაწილე ანგარიშსწორების აგენტი**, შესაბამისად **სისტემის ოპერატორი** არ არის რაიმე ფორმით პასუხისმგებელი/ანგარიშვალდებული ამ **სისტემის მონაწილის** ანგარიშწორებაზე,

4.8.3. **ანგარიშსწორების აგენტი** ამოწმებს **კლირინგის** ფაილების საფუძველზე **სისტემის მონაწილის** მიერ სხვა **სისტემის მონაწილისთვის** ან/და **საერთაშორისო საბარათე სქემასთან** მიმართებაში **ნეტმოთხოვნასა** და **ნეტვალდებულებას** და უზრუნველყოფს **სისტემის მონაწილის** ანგარიშსწორების ანგარიშიდან შესაბამის **ანგარიშსწორებას.**

4.8.4. **ლოკალური ბარათებით** შესრულებულ **საბარათე ოპერაციებთან** მიმართებაში ანგარიშსწორება

ხორციელდება **საბარათე ოპერაციის** შესრულებისთანავე, კერძოდ, **საბარათე ოპერაციის** შესრულებამდე მოწმდება **ანგარიშსწორების ანგარიშზე საბარათე ოპერაციის** მოცულობის შესაბამისი ნაშთის არსებობა და **საბარათე ოპერაციის** შესრულებისთანავე ხორციელდება ანგარიშსწორების ანგარიშის დადებეტება და **ექვაირერი სისტემის მონაწილე** ანგარიშსწორების ანგარიშის დაკრედიტება.

4.8.5. **სისტემის მონაწილე სისტემაში** მონაწილეობს როგორც კლირინგის პირდაპირი მონაწილე და აქვს საშუალება **სისტემაში** მონაწილეობა მიიღოს, როგორც **ანგარიშსწორების პირდაპირმა მონაწილემ** ან **ანგარიშსწორების არაპირდაპირმა მონაწილემ.**

4.8.6. თუ, **სისტემის მონაწილეს** სურს იყოს **ანგარიშსწორების არაპირდაპირი მონაწილე, სისტემის მონაწილემ სისტემის ოპერატორს** უნდა წარუდგინოს **სისტემის** სხვა **მონაწილესა** და მას შორის გაფორმებული შეთანხმება ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით, რომელიც სრულად შესაბამისი უნდა იყოს **სისტემის წესებთან** და **კანონმდებლობასთან**. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ანგარიშსწორება მუდმივად უნდა სრულდებოდეს **სისტემის მონაწილის** ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში ოვერდრფატის/კრედიტის ამოქმედების გარეშე.

5. სისტემით სარგებლობა და **სისტემით სარგებლობიდან გამომდინარე ვალდებულებები**

5.1. **სისტემის მონაწილე** ვალდებულია **სისტემაში** გაწევრიანებამდე, ისევე როგორც **სისტემით** სარგებლობის ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს თავისი შიდა სისტემის **სისტემასთან** თავსებადობა, საჭიროებისამებრ განახლება და ნებისმიერი ხარვეზის/შეუსაბამობის გამოსწორება. **სისტემის მონაწილე** ვალდებულია უზრუნველყოს **სისტემის** უსაფრთხოება და არ დაუშვას პროგრამასთან არაუფლებამოსილი პირი.

5.2. **სისტემის მონაწილე** ვალდებულია **საერთაშორისო საბარათე სქემაში** ჩასართველ **საბარათე ინსტრუმენტებთან** დაკავშირებით მომსახურების მისაღებად საკუთარი ხარჯით მოიპოვოს შესაბამისი საბარათე სქემის ლიცენზია/ნებართვა.

სისტემაზე დაშვება

6. სისტემაში მონაწილეობის კრიტერიუმი

6.1. სისტემის მონაწილე შეიძლება იყოს:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი;

- უცხოური ცენტრალური ბანკი;
- საკლირინგო დაწესებულება;
- ფინანსური ინსტიტუტი;
- საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი;
- ანგარიშსწორების აგენტი;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სუბიექტი

6.2. სისტემით სარგებლობისთვის **პრეტენდენტმა** უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

6.2.1. ვალდებულია უზრუნველყოს თავისი შიდა სისტემების თავსებადობა **სისტემასთან** წინამდებარე წესებისა და პროტოკოლის შესაბამისად;

6.2.2. ვალდებულია უზრუნველყოს თავისი შიდა სისტემასა და სისტემას შორის ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში გაცვლა;

6.2.3. ვალდებულია მოქმედებდეს **საერთაშორისო საბარათე სქემის** წესების შესაბამისად და იცავდეს შესაბამის მოთხოვნებს;

6.2.4. ვალდებულია მოქმედებდეს **კანონმდებლობის** შესაბამისად და იცავდეს მის მოთხოვნებს და იყოს შესაბამისობაში;

6.2.5. ვალდებულია სრულად დააკმაყოფილოს **სისტემით** სარგებლობასთან დაკავშირებული **პროტოკოლით** განსაზღვრული **სისტემის** ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც მას გადაეცემა **სისტემის წესებით** განსაზღვრული წესით.

7. სატესტო გარემო

7.1. **ხელშეკრულების** დადების შემდგომ, მას შემდეგ რაც **სისტემის მონაწილეს** გადაეცემა **სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)ზე** წვდომები, **სისტემის მონაწილე სისტემის ოპერატორის** მიერ დაიშვება სატესტო გარემოში, რის საფუძველზეც განხორციელდება **სისტემის მონაწილის** სისტემის თავსებადობის ტესტირება სისტემასთან.

7.2. **სისტემის მონაწილე** და **სისტემის ოპერატორი** ვალდებულია **სისტემის ტესტირების** ვადის განმავლობაში უზრუნველყოს ტესტირებისას გამოვლენილი ხარვეზის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, ხოლო თუ აღმოფხვრა დაუყოვნებლივ შეუძლებელია, ხარვეზი აღმოფხვრილ უნდა იქნეს მხარეთა შეთანხმებულ ვადაში, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს **სისტემის**

ტესტირების ვადას.

7.3. **სისტემის ტესტირების** ვადის დასრულებისას, **მხარეებმა** უნდა უზრუნველყონ სატესტო გარემოში ტესტირების ვალიდაცია, რა დროსაც მხარეები წერილობითი ფორმით, მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის გზით ადასტურებენ სატესტო გარემოში ტესტირების შედეგებს. სატესტო გარემოში ტესტირების შედეგების მიხედვით:

7.3.1. თუ სატესტო გარემოში ტესტირების შედეგი იქნება დადებითი და ორივე მხარე დაადასტურებს, რომ სისტემა მუშაობს შეფერხების გარეშე, სისტემის მონაწილე ითვლება სისტემაში ჩართულად და სისტემის ოპერატორი იწყებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

7.3.2. თუ სატესტო გარემოში ტესტირების შედეგი იქნება უარყოფითი და ორივე მხარე არ დაადასტურებს, რომ სისტემა მუშაობს შეფერხების გარეშე, წყდება ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები შეთანხმდნენ ახალი სისტემის ტესტირების ვადის შესახებ.

8. **სისტემის მონაწილის** მიერ განაცხადის წარდგენა და სისტემაში ჩართვა

8.1. სისტემაში ჩართვის პროცედურა განისაზღვრება **სისტემის წესების** დანართი №2-ით.

8.2. **პრეტენდენტმა** განაცხადში (დანართი #1) უნდა მიუთითოს, თუ რომელი მომსახურების მიღება სურს;

8.3. **სისტემის ოპერატორსა** და **პრეტენდენტს** შორის ხელშეკრულება ფორმდება და შესაბამისად **პრეტენდენტი** სისტემაში ერთვება იმ მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელსაც პრეტენდენტი მიუთითებს **განაცხადში**;

8.4. **სისტემაში** ჩართვის დროს **სისტემის მონაწილეს** გადაეცემა წვდომა სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)-ზე რომლის საშუალებითაც **სისტემის მონაწილე** უფლებამოსილია შეასრულოს სისტემაში მისთვის დაშვებული ოპერაციები.

სისტემით სარგებლობის საფასური და გადახდის პირობები

9. **სისტემით სარგებლობის საფასური**:

9.1. **სისტემაში** სარგებლობისას, **სისტემით სარგებლობის საფასური** განისაზღვრება **სისტემით ჩართვის საფასურისა** და **სისტემის მომსახურების საფასურის** ოდენობით.

9.2. პრეტენდენტის პირველად **სისტემაში ჩართვის საფასური** განისაზღვრება მოცემული პაკეტ(ებ)ის შესაბამისად:

- **ბარათების** ემისია და **ექვაირინგი** - 60 000 (სამოცი ათასი) აშშ დოლარი;
- **ბარათების** ემისია - 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარი;
- **ექვაირინგი** - 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარი.

9.3. **სისტემაში ჩართვის საფასურის** ოდენობა არ მოიცავს მესამე პირ(ებ)ის მიმართ გადასახდელ საფასურს;

9.4. პრეტენდენტის პირველად **სისტემაში ჩართვის საფასური** მოიცავს **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ გადასახადებს და გადასახდელებს;

9.5. **სისტემის მონაწილის** მიერ პირველად **სისტემაში ჩართვის საფასური** გადახდილ უნდა იყოს ორ თანაბარ ნაწილად, კერძოდ, **სისტემის მონაწილემ** პირველად **სისტემაში ჩართვის საფასურის** 50%-ის გადახდა უნდა განახორციელოს **მხარეთა** შორის **ხელშეკრულების** ხელმოწერიდან 5 (ხუთი) **სამუშაო დღის** ვადაში, ხოლო დარჩენილი 50%-ის გადახდა - ინტეგრაციის პროცესის დასრულების შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) **სამუშაო დღის** ვადაში;

9.6. **სისტემის მონაწილის** მიერ მისაღები მომსახურების დანერგვასთან დაკავშირებით გასაწევი ტექნიკური და სხვა სამუშაოების მოცულობისა და სირთულიდან გამომდინარე, **სისტემის მონაწილეს** განესაზღვრება დამატებითი საფასური **სისტემის** წინაშე, რომელიც გაითვალისწინება **სისტემასა** და **სისტემის მონაწილეს** შორის გაფორმებული **ხელშეკრულებით**;

9.7. **სისტემის მონაწილე** ვალდებულია **სისტემის მომსახურების საფასური** გადაიხადოს ყოველთვიურად, ამასთან, ყოველი გასული კალენდარული თვისთვის **სისტემის მომსახურების საფასურის** გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო კალენდარულ თვეში შემდეგი პირობების შესაბამისად: შესაბამისი კალენდარული თვის დასრულების შემდეგ **სისტემის ოპერატორი სისტემის მონაწილეს** მიაწვდის კონკრეტული თვის ჭრილში **სისტემის** ფარგლებში შესრულებული/დამუშავებული ტრანზაქციების შესახებ ანგარიშს და შესაბამის ინვოისს/ანგარიშ-ფაქტურას, რომლის გაგზავნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში **სისტემის მონაწილე** ვალდებულია გადაუხადოს **სისტემის ოპერატორს სისტემის მომსახურების საფასური**;

9.8. **სისტემის მომსახურების საფასური** მოიცავს **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ გადასახედებსა და გადასახდელებს.

9.9. **სისტემის მომსახურების საფასური** და მისი მოცულობა:

9.9.1. **ფინანსური საბარათე ტრანზაქციის ავტორიზაციის ტარიფები განისაზღვროს შემდეგი**

ოდენობით:

ფინანსური საბარათე ტრანზაქციის ავტორიზაცია		
ფინანსური საბარათე ტრანზაქციის ავტორიზაციის რაოდენობა		ტარიფი (აშშ დოლარი) თითოეული **ავტორიზაციისთვის**
ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	
-	20,000	0.100
20,001	40,000	0.070
40,001	80,000	0.040
80,001	200,000	0.025
200,001	500,000	0.020
500,001	800,000	0.018
800,001	-	0.016

9.9.2. **არაფინანსური საბარათე ტრანზაქციის ავტორიზაციის ტარიფები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:**

არაფინანსური საბარათე ტრანზაქციის ავტორიზაცია	
არაფინანსური საბარათე ტრანზაქციის რაოდენობა	ტარიფი (აშშ დოლარი)
თითოეული **ფინანსური საბარათე ტრანზაქციის** შესაბამისად	**ფინანსური საბარათე ტრანზაქციის** ღირებულების 12%

9.9.3. **საბარათე ინსტრუმენტის პერსონალიზაციის ტარიფები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:**

საბარათე ინსტრუმენტის პერსონალიზაცია		
პერსონიზირებული **საბარათე ინსტრუმენტის** რაოდენობა		ტარიფი (აშშ დოლარი) თითოეული **ბარათის პერსინალიზაციისთვის**
ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	
-	400	1.80
401	800	1.70

801	1,000	1.55
1,001	2,000	1.35
2,001	4,000	0.95
4,001	8,000	0.80
8,001	20,000	0.32
20,001	-	0.25

9.9.4. **ფიზიკური პოს-ტერმინალის მომსახურების ტარიფები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით**

პოს-ტერმინალების მომსახურება		
პოს-ტერმინალების რაოდენობა		ტარიფი (აშშ დოლარი) თითოეული **პოს-ტერმინალისთვის**
ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	
1	2,500	8.0
2,501	4,900	7.0
4,901	7,000	6.5
7,001	10,000	6.0
10,001	-	3.0

9.9.5. **ვირტუალური პოს-ტერმინალის მომსახურების ტარიფები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:**

ვირტუალური პოს-ტერმინალების მომსახურება		
ვირტუალური პოს-ტერმინალების რაოდენობა		ტარიფი (აშშ დოლარი) თითოეული **ვირტუალური პოს- ტერმინალისთვის**
ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	
1	-	5.0

9.9.6. **ვენდინგ აპარატის პოს-ტერმინალის მომსახურების ტარიფები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:**

ვენდინგ აპარატის პოს-ტერმინალის მომსახურება		
ვენდინგ აპარატის პოს-ტერმინალის რაოდენობა		ტარიფი (აშშ დოლარი) თითოეული **ვენდინგ აპარატის პოს-ტერმინალისთვის**
ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	

1	-	2.0

9.9.7. კალენდარული თვის ჭრილში, **ლოკალური ბარათებით**, **ბანკომატში** შესრულებული **საბარათე ოპერაციებისთვის** გადასახდელი ჯამური მოცულობითი საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

Host-to-Host კავშირის ფარგლებში სხვა სისტემის ოპერატორის ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გადასახდელი საფასურის მოცულობა თვის ჭრილში **ლოკალური ბარათებით** მის **ბანკომატში** შესრულებული **საბარათე ოპერაციებისთვის**		
კალენდარული თვის განმავლობაში შესრულებული **საბარათ ოპერაციების** ჯამური მოცულობა		ტარიფი
ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	
-	500,000	0.20%
500,001	1,000,000	0.15%
1,000,001	-	0.10%
ექვაირერი სისტემის მონაწილის მიერ გადასახდელი საფასურის მოცულობა თვის ჭრილში **ლოკალური ბარათებით** მის **ბანკომატებში** შესრულებული **საბარათე ოპერაციებისთვის**		
კალენდარული თვის განმავლობაში შესრულებული **საბარათ ოპერაციების** ჯამური მოცულობა		ტარიფი
ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	
-	500,000	0.20%
500,001	1,000,000	0.15%
1,000,001	-	0.10%

9.10. უცხოური ვალუტით განსაზღვრული **საკომისიოს/სისტემით სარგებლობის საფასურის** შემთხვევაში **საკომისიოს/სისტემით სარგებლობის საფასურის** დაანგარიშება ხდება **სისტემის ოპერატორის** მიერ **სისტემის მონაწილესთვის** გაგზავნილი ანგარიშ-ფაქტურის/ინვოისის შესაბამისად, თვის ბოლო დღეს ფიქსირებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით. **სისტემის მონაწილე** მომსახურების საფასურის ანგარიშსწორებას ახორციელებს ანგარიშ-ფაქტურაში/ინვოისში ფიქსირებული კურსის შესაბამისად.

10. სისტემის ტექნიკური მოდულ(ებ)ით სარგებლობა და პროტოკოლი

10.1. **სისტემის მონაწილე** ადასტურებს, რომ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ **საკონტაქტო რეკვიზიტებზე** გაგზავნილი **ავტორიზაციის იდენტიფიკატორების საშუალებით** სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)ზე **წვდომა** ექნება მხოლოდ და მხოლოდ **ავტორიზირებულ პირს** ან მის მიერ განსაზღვრულ **მესამე პირს. სისტემის მონაწილე** აცხადებს და ადასტურებს, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც **სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)ზე** წარმოადგენს **სისტემის მონაწილის** უფლებამოსილ წარმომაგდენს და მას აქვს სრული უფლებამოსილება ისარგებლოს სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)ით , მიიღოს მასზე არსებული ინფორმაცია და განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაშვებულია დროის ნებისმიერ მომენტში სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)ზე **სისტემის მონაწილე** აცხადებს და ადასტურებს, რომ არ დაუშვებს სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)ზე არაუფლებამოსილ წვდომას, უზრუნველყოფს იქ განთავსებული ინფორმაციის უსაფრთხოებასა და დაცულობას, არ მოახდენს ამ ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით დაკარგვას, გამჟღავნებას, გაზიარებას, ხელმისაწვდომობას არაუფლებამოსილ პირზე.

10.2. **სისტემის მონაწილე** აცხადებს და ადასტურებს, რომ არ დაუშვებს **სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)-ზე** და **სისტემაზე** ნებისმიერი ფორმით არაუფლებამოსილ წვდომას, უზრუნველყოფს საკუთარი სისტემის უსაფრთხოებასა და დაცულობას, პასუხისმგებელია სისტემაში, მისი სახელით ინიცირებულ ყველა დავალებასა და მის შინაარსზე.

10.3. სისტემის მონაწილე აცხადებს და ადასტურებს, მისი სისტემის უსაფრთხოება, მათ შორის კიბერუსაფრთხოება, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის დაცვას და გამორიცხავს სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)ზე და სისტემაზე ნებისმიერი ფორმით არაუფლებამოსილ წვდომასა და კიბერშეტევას, ან ნებისმიერ სხვა ტიპის უსაფრთხოების დარღვევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სისტემის ტექნიკური მოდულ(ებ)ის შეფერხება, სისტემის ტექნიკურ მოდულ(ებ)ის ფუნქციონირების ნებისმიეირ ფორმის ხარვეზი, მათ შორის და არა მხოლოდ, სისტემაში დაცული ინფორმაციის გაჟონვა, გადარიცხვის ოპერაციის არასწორი დამუშავება, გადარიცხვის ოეპრაციის დავალებების დუბლირება, შეჩერება, დავალების ცვლილება და ა.შ. სისტემის მონაწილე სრულად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ასეთ მოვლენის დადგომის შედეგად დამდგარ შედეგზე.

10.4. **სისტემის** ფარგლებში ნებისმიერი მომსახურების გაწევა ხორციელდება სისტემის ოპერატორის მიერ მოწოდებული **პროტოკოლის** საფუძველზე;

10.5. **სისტემის ოპერატორი** ვალდებულია **ზედმიწევნით** დაიცვას **პროტოკოლის** მოთხოვნები;

10.6. **სისტემის მონაწილე** ვალებულია პროტოკოლის განახლების შემთხვევაში უზრუნველყოს

სისტემის მონაწილის ინფორმირება.

სისტემის მონაწილის პასუხისმგებლობა და სისტემით სარგებლობის სხვა პირობები

11. პასუხისმგებლობა

11.1. **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **სისტემის მონაწილეს** მის მიერ **სისტემის წესებით** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად, ნებისმიერი მესამე პირის მიერ დაკისრებული გადასახდელის ანაზღაურება. ამასთან, **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **სისტემის მონაწილეს** მის მიერ სისტემის წესებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის (გარდა სისტემის წესების ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), ერთჯერადი პირგასამტეხლოს გადახდა, სავალდებულო თანხის მოცულობის 1 (ერთი) %–ის ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლოს გადახდა, შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული), სავალდებულო თანხის მოცულობის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის ოდენობით.

11.2. **სისტემის მონაწილის** მიერ დადგენილ ვადაში **სისტემით სარგებლობის საფასურის** გადაუხდელობის შემთხვევაში, მათ შორის ნებისმიერი/თითოეული **საკომისიოს** გადაუხდელობის შემთხვევაში, **სისტემის მონაწილეს დაეკისრება** პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის მოცულობის 0,9 (ნული მთელი ცხრა მეათედი) %–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა იწყება ვადაგადაცილებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის შემდეგ.

11.3. **სისტემის ოპერატორი** პასუხს არ აგებს მისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მიზეზით საგადახდო სისტემის ფუნქციონირების სრულად ან ნაწილობრივი შეწყვეტისთვის.

11.4. **სისტემა** და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მატერიალური და არამატერიალური აქტივები (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრება), ეკუთვნის სისტემის ოპერატორს, წარმოადგენს მის საკუთრებას, ტექნიკურ მომსახურებას. საკუთრების უფლება, არც ერთ შემთხვევაში, არ გადაეცემა სისტემის მონაწილეს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია გაუფრთხილდეს და დაიცვას, ისევე როგორც მოსთხოვოს ნებისმიერ მესამე პირს სისტემის ოპერატორის საკუთრების უფლების (მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ, ინტელექტუალური საკუთრების)

მოფრთხილება და საკუთრების დაცვა.

12. ფორს-მაჟორი

12.1. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში **სისტემის ოპერატორი** ან/და **სისტემის მონაწილე** არ აგებს პასუხს **ხელშეკრულებითა** და **სისტემის წესებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

12.2. პირს, რომელსაც დაუდგა **ფორს-მაჟორი**, ვალდებულია დაუყოვნებლივ და თუ დაუყოვლნებლივ შეტყობინება შეუძლებელია ობიექტური დასაბუთებული მიზეზების გამო არა უგვიანეს 5 (ხუთი) **სამუშაო დღისა**, აცნობოს **სისტემის ოპერატორს** შესაბამისი **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის და მისი/მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს **ფორს-მაჟორის** არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. იმ შემთხვევაში თუ **ფორს-მაჟორი** დაუდგა **სისტემის ოპერატორს**, **სისტემის ოპერატორი** ატყობინებს აღნიშნულის შესახებ ყველა **სისტემის მონაწილეს**.

12.3. შეტყობინებაში მითითებული **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ი, თუ ისინი არ წარმოადგენენ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს (გარემოებებს) ან **სისტემის ოპერატორს** ეჭვი შეაქვს მათ ნამდვილობაში, **სისტემის ოპერატორის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობასთან დაკავშირებით ეჭვის გამოთქმის თაობაზე შეტყობინების **სისტემის მონაწილისთვის** გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობა უნდა დადასტურდეს **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

12.4. თუ **ფორს-მაჟორის** მოქმედება, **სისტემის მონაწილის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის ან **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობის დადასტურების თაობაზე სათანადო ორგანოს დასკვნის მიღების თარიღიდან 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია შეაჩეროს **ხელშეკრულების** მოქმედება **ფორს-მაჟორული** გარემოების აღმოფხვრამდე, ხოლო თუ **ფორს-მაჟორული** გარემოებები **ხელშეკრულების** მოქმედების შეჩერებიდან 30 (სამოცი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ აღნიშნული წარმოადგენს **სისტემის მონაწილის** დეფოლტის გარემოებას.

13. დეფოლტის საფუძვლები

13.1. დეფოლტად კვალიფიცირდება შემდეგი გარემოებები:

13.1.1. **სისტემის მონაწილე** სრულად და ჯეროვნად არ ასრულებს **სისტემის წესებით** ან/და **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად

ვალდებულებას, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

13.1.2. **სისტემის მონაწილე** არ აკმაყოფილებს **სისტემით წესებით** დადგენილ ნებისმიერ მოთხოვნას;

13.1.3. **სისტემის მონაწილე** დააინიციერებს იმ **ანგარიშსწორების ანგარიშის** დახურვას, რომელიც წარმოადგენს ანგარიშსწორების ანგარიშს ან თუ დაიხურება საკორესპონდეტო ანგარიში;

13.1.4. **ანგარიშსწორების ანგარიშის** შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტა;

13.1.5. იმ შემთხვევაში, თუ **ანგარიშსწორების ანგარიშის** ან/და მასთან აფილირებული პირი მოხვდება ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სანქცირებულ პირთა სიაში ან/და სისტემის მონაწილეს ან/და მასთან აფილირებული პირს შეეზღუდება ოპერაციების განხორციელება;

13.1.6. **სისტემის მონაწილე** ფუნქციონირებას აგრძელებს დროებითი ადმინისტრატორის მეშვეობით;

13.1.7. **სისტემის მონაწილე** არღვევს **კანონმდებლობით** განსაზღვრულ ისეთ მოთხოვნას, რომელიც სავალდებულოა შესასრულებად სისტემის მონაწილის მიერ და რომელიც შეიძლება გახდეს სისტემის მონაწილის იმ ლიცენზიის შეწყვეტის საფუძველი, რომელიც მისი საქმიანობის საფუძველია;

13.1.8. **სისტემის მონაწილე** არის რეზოლუციის რეჟიმში ან/და რეზოლუციის რეჟიმის გავრცელების საფრთხის ქვეშ;

13.1.9. **სისტემის მონაწილეს** ანგარიშსწორების ანგარიშზე არ აქვს სავალდებულო თანხა;

13.1.10. **სისტემის მონაწილე** არ იხდის სისტემით სარგებლობის საფასურს 3 (სამი) თვეზე მეტი ვადის განმავლობაში;

13.1.11. **სისტემის მონაწილე სისტემის ოპერატორის** მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში არ აღმოფხრვის იმ ხარვეზს, რომელმაც განაპირობა დეფოტლის საფუძვლის არსებობა.

14. დეფოლტის შედეგები და ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. დეფოლტის საფუძვლის დადგომის შემთხვევაში **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია, **სისტემით** სარგებლობის და ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ცალმხრივად გააუქმოს **სისტემის მონაწილეს სისტემით** სარგებლობის უფლება და **შეუწყვიტოს** ხელშეკრულება. ამასთან, **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია შეაფასოს დეფოლტის საფუძვლის შინაარსი და **სისტემის მონაწილეს** დაუწესოს ვადა დეფოლტის საფუძვლის აღმოსაფხვრელად, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

14.1.1. **სისტემის მონაწილეს** ხარვეზის სრულად აღმოფხვრადე შეუჩეროს საგადახდო **სისტემაში** მონაწილეობა;

14.1.2. **სისტემის მონაწილეს** მისცეს უფლება განაგრძოს **სისტემის** მონაწილეობა.

14.2. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს **სისტემის ოპერატორისა** და **სისტემის მონაწილის** ერთობლივი შეთანხმებით.

14.3. **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, **სისტემის** მონაწილისათვის ყოველგვარი ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, სისტემის მონაწილეს სრულად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს სისტემის მონაწილეობა, სისტემის მონაწილისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

14.4. ნებისმიერი მიზეზით **სისტემის** მონაწილის საგადახდო **სისტემაში** მონაწილეობის შეწყვეტის შემთხვევაში, წყდება შესაბამისი ხელშეკრულებაც.

14.5. ნებისმიერი მიზეზით **სისტემის** მონაწილის **სისტემაში მონაწილეობის** შეწყვეტის შემთხვევაში, **სისტემის მონაწილე** არ თავისუფლდება **სისტემის** წესებიდან ან/და **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **სისტემის ოპერატორის** მიმართ ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულებისგან ან/და ზიანის/ზარალის ანაზღაურებისგან, რომელიც მიადგა **სისტემის ოპერატორს სისტემის მონაწილის** საგადახდო **სისტემაში მონაწილეობის** შეწყვეტის შედეგად.

14.6. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ერთი ვალუტასთან მიმართებით **სისტემით** სარგებლობის უფლების გაუქმება, ავტომატურად არ იწვევს სხვა ვალუტასთან მიმართებით საგადახდო სისტემით სარგებლობის უფლების გაუქმებას და შესაბამის ხელშეკრულების შეწყვეტას.

14.7. **სისტემის მონაწილე** უფლებამოსილია ცალმხრივად, **სისტემით** სარგებლობის და **ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, შეწყვიტოს საგადახდო სისტემით სარგებლობა, **სისტემის ოპერატორისთვის** არანაკლებ 3 (სამი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

15. კონფიდენციალურობა

15.1. **სისტემის ოპერატორი** და **სისტემის მონაწილე** ვალდებულნი არიან, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, ასევე **სახელშეკრულებო** ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან **სისტემით** სარგებლობიდან გამომდინარე მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამასთან, **სისტემის ოპერატორი** და **სისტემის მონაწილე** კისრულობენ ვალდებულებას, მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი დაამუშაონ, მხოლოდ

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

15.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:

15.2.1. რომელიც **კანონმდებლობის** დარღვევის გარეშე იყო/გახდა ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის, მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

15.2.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება მხარეთა მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

15.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;

15.2.4. თუ ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნება მოხდება: ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი მხარე სრულად აგებს პასუხს მესამე პირის მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე მხარისგან დამოუკიდებლად.

16. კომუნიკაცია სისტემის მონაწილეს და სისტემის ოპერატორს შორის

16.1. **სისტემის ოპერატორსა** და **სისტემის მონაწილეს** შორის ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, გარდა **სისტემის** ტექნიკური მოდულ(ებ)ის საშუალებით კომუნიკაციისა. თითოეული მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მათ შეიძლება მიეწოდოთ პირადად ან გაეგზავნოთ კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც. ამასთან, **ხელშეკრულებით / სისტემის წესებით** გათვალისწინებულ შემთხვევებში ოფიციალური ურთიერთობა განხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ხოლო პროგრამის გამოყენებით კომუნიკაცია განხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული წესითა და ფორმით.

16.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების

მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად: ა) კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში – ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს; ბ) ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში გაგზავნის თარიღიდან მეორე სამუშაო დღეს.

16.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არ არსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

16.4. **სისტემის ოპერატორი** და **სისტემის მონაწილე** ურთიერთობას განახორციელებენ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). თითოეული მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

16.5. **ხელშეკრულებით** შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეტყობინების განხორციელება ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული კომუნიკაციის კონკრეტულად ერთ–ერთი საშუალებით ან განსხვავებული ფორმით.

17. სისტემის განახლება

17.1. **სისტემებთან** დაკავშირებული სერვისები/ქლაუდი განთავსებული იქნება შესაბამის გარემოში.

17.2. დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს **სისტემის** ფუნქციონირების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა/შეფერხება, **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს **სისტემის წესებით** განსაზღვრული საკომუნიკაციო საშუალებით 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე **სისტემის მონაწილის** ინფორმირებას, ხოლო დაუგეგმავი ტექნიკური სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება განხორციელდება შესაბამისი სამუშაოების განხორციელების პარალელურად.

17.3. **სისტემის მონაწილე** ვალდებულია გასწიოს ყველა ის ხარჯი, რომელიც გამოწვეული იქნება **სისტემის** განახლების ან/და **სისტემის** ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, **სისტემის მონაწილის** შიდა სისტემის სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად.

17.4. **სისტემის** შეფერხების შემთხვევაში, **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს **სისტემის მონაწილის** შეტყობინებას და სისტემის შეფერხების ხარვეზის აღმოფხვრას გონივრულ ვადაში.

18. სისტემის მონაწილის პრეტენზია

18.1. **სისტემის მონაწილე** უფლებამოსილია **საბარათე ოპერაციებთან** დაკავშირებული პრეტენზია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **სისტემის წესებით** გათვალისწინებული საკომუნიკაციო საშუალებით დააფიქსიროს **სისტემის ოპერატორთან**, რომელთან დაკავშირებითაც შესაბამის გადაწყვეტილებას/ინფორმაციას **სისტემის ოპერატორი სისტემის მონაწილეს** აცნობებს იმავე საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით. ამასთან, **საბარათე ოპერაციასთან** დაკავშირებული პრეტენზიის განხილვა განხორციელდება პრეტენზიის წარდგენიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პრეტენზიის განხილვისთვის საჭიროა უფრო მეტი ვადა, **სისტემის ოპერატორი** ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, აღნიშნულის შესახებ აცნობებს **სისტემის მონაწილეს,** შესაბამისი გადახდის ოპერაციისთვის დასაბრუნებელი თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნება განხორციელდება გადარიცხვის ოპერაციასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, თუ პრეტენზია ეხება სადავო ოპერაციას, სისტემის მონაწილე თავად უზრუნველყოფს კომუნიკაციას **საერთაშორისო საბარათე სქემასთან.**

18.2. **სისტემის წესებიდან** ან/და **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **პრეტენზიები სისტემის ოპერატორმა** ან/და **სისტემის მონაწილემ** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია, პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე მხარეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

18.3. **სისტემის წესებიდან** ან/და **ხელშეკრულების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები

მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს.

19. სხვა პირობები

19.1. **სისტემის მონაწილე** არ არის უფლებამოსილი **სისტემის ოპერატორის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს/გადასცეს მესამე პირს. **სისტემის ოპერატორის** უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა.

19.2. **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია **სისტემის მონაწილის** ყოველგვარი ნებართვის ან/და შეტყობინების გარეშე **სისტემის წესებიდან** ან/და **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე უფლება–მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს/გადასცეს **მესამე პირს,** რაც მათ შორის ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს სისტემის წესებიდან/ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას ქვეკონტრაქტორის საშუალებით. შესაბამისად **სისტემის წესებით** განსაზღვრული ტერმინი **სისტემის ოპერატორი** მოიაზრებს სისტემის ოპერატორის ქვეკონტრაქტორ მესამე პირს კონტექსტის შესაბამისად.

19.3. **სისტემის წესებიდან** და **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ურთიერთობები რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად.

19.4. **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია **სისტემის მონაწილის** შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს **სისტემის მონაწილის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **სისტემის ოპერატორის** უფლებების განხორციელების მიზნით ან/და სისტემის მონაწილის მიერ **სისტემის წესების** ან/და **ხელშეკრულების** პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

19.5. **სისტემის წესები** ან/და **ხელშეკრულება** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა **სისტემის ოპერატორისა** და **სისტემის მონაწილის** უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ **სისტემის წესები** ან/და **სისტემის წესების/ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

19.6. **სისტემის წესები** განთავსებული იქნება **სისტემის ოპერატორის** ვებ-გვერდზე www.gc.ge. **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს, გაუქმოს, გააფართოვოს

სისტემის წესები, რომელიც აისახება **სისტემის წესების** განახლებულ ვერსიაში. იმ შემთხვევაში თუ **სისტემის წესების** განახლების შედეგად უარესდება **სისტემის მონაწილის** მდგომარეობა, განახლებული **სისტემის წესების** შესახებ **სისტემის მონაწილეს** გაეგზავნება შეტყობინება წინამდებარე **სისტემის წესებით** ან/და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული საკომუნიკაციო არხით, **სისტემის წესების** განახლებამდე გონივრული ვადით ადრე.

19.7. **სისტემის მონაწილისა** და **სისტემის ოპერატორის** სხვა უფლება-მოვალეობები/პასუხისმგებლობები განისაზღვრება **ხელშეკრულებით.**

19.8. იმ შემთხვევაში, თუ **სისტემით** სარგებლობისას მომსახურების ფარგლებში მომსახურება გაწეულია საერთაშორისო **საბარათე სქემაში** ჩართულ **საბარათე ინსტრუმენტებთან** მიმართებაში, **სისტემის ოპერატორი** ემსახურება როგორც საპროცესინგო ცენტრი და შესაბამისად ფორმდება საპროცესინგო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

19.9. **სისტემის მონაწილე** ვალდებულია მუდმივად უზრუნველყოს **კანონმდებლობით** დადგენილი მოთხოვნების შესრულება **საბარათე ოპერაციების** განხორციელების წესთან დაკავშირებით, ამასთან **სისტემის ოპერატორი** არ არის ვალდებულია თავად უზრუნველყოს **სისტემის მონაწილის კანონმდებლობის** მოთხოვნების დანერგვა **სისტემის მონაწილის** წერილობითი მომართვის გარეშე. ნებისმიერი მოთხოვნის შესრულება დამატებით განიხილება მხარეებს შორის და მის იმპლემენტაცია სრულდება მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში.

სისტემაში ჩართვის განაცხადი	
პრეტენდენტის მონაცემები	
დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ამონაწერი მეწარმეთა და არამეწარმე იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომელიც განახლებულია განაცხადის წარდგენამდე მინიმუმ 10 (ათი) კალედნარული დღით ადრე:	დანართის სახით
პრეტენდენტის საკონტაქტო პირი	
სახელი, გვარი:	
პირადი ნომერი:	
ელექტრონული ფოსტა:	
თნამდებობა/სტატუსი:	
პრეტენდენტის წარმომადგენელი[1]	
სახელი, გვარი:	
პირადი ნომერი:	
ელექტრონული ფოსტა:	
თნამდებობა/სტატუსი:	

სისტემაში მონაწილეობის პირობები	
მონაწილეობა ანგარიშსწორების მიზნებისთვის	
ანგარიშსწორების პირდაპირი მონაწილე:	
ანგარიშსწორების არაპირდაპირი მონაწილე:	
ბარათები	
ლოკალური ბარათების ემიტირება და ოპერაციების დამუშავება:	
საერთაშორისო ბარათების ემიტირება და ოპერაციების დამუშავება:	
ექვაირინგი	
ფიზიკური პოს-ტერმინალი:	
ელექტრონული პოს-ტერმინალი:	
ბანკომატი:	

პრეტენდენტი ხელმოწერით ადასტურებს და ეთანხმება, რომ სქრინინგის მიზნებისთვის სს ჯორჯიან ქარდი უფლებამოსილია პრეტენდენტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირებს.

პრეტენდენტის ხელმოწერა ----------

[1] იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერაზე უფლებამოსილია მინდობილობით განსაზღვრული პირი, პრეტენდენტმა, განაცხადთან ერთად, დანართის სახით უნდა წარმოადგინოს მოქმედი მინდობილობის ასლი.

1. პრეტენდენტი ოფიციალური ელექტრონული ფოსტიდან განაცხადით (დანართი N 1) მიმართავს სისტემის ოპერატორს სისტემაში ჩართვის შესახებ მოთხოვნით შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: Info@gc.ge;
2. სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი თანამშრომელი, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული კვირის ვადაში, უკავშირდება პრეტენდენტს, აზუსტებს დამატებით დეტალებს და ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმების ნიმუშს , რომლითაც სისტემის ოპერატორი და პრეტენდენტი ვალდებულებულნი იქნებიან არ მოახდინონ გაზიარებული ინფორმაციის მესამე პირებზე გამჟღავნება.
3. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმების ყველა პირობა მისაღებია პრეტენდენტისთვის, აღნიშნულის შესახებ პრეტენდენტი ელექტრონული ფოსტით ატყობინებს სისტემის ოპერატორს. სისტემის ოპერატორი აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა თუ უფრო მეტი ვადა არ არის მოთხოვნილი პრეტენდენტის მიერ) აორგანიზებს პრეტენდენტისა და სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის პროცესს.
4. ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ, პრეტენდეტს ეგზავნება სქრინინგისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

4.1. იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის (დირექტორი, თავმჯდომარე, პრეზიდენტი) პირადობის ვალიდური ასლი;

4.2. 25% და ზემოთ წილის მფლობელი ბენეფიციარი ფიზიკური პირის პირადობა/პასპორტის ასლი;

4.3. იმ შემთხვევაში, თუ 25% - ზე ზემოთ წილის მფლობელი არის იურიდიული პირი, მისი ბოლო განახლებული თარიღის ამონაწერი და ამ ამონაწერის მიხედვით ხელმძღვანელი პირებისა და საბოლოო ბენეფიციარი ფიზიკური პირების ვალიდური პირადობა/პასპორტის ასლები;

4.4. იმ შემთხევაში, თუ 25% და ზემოთ წილის მფლობელი იურიდიული პირი არარეზიდენტია, საჭირო იქნება განახლებული ამონაწერი არაუგვიანეს 12 თვის ხანდაზმულობის, ინგლისურ ან ქართულენოვანი და შესაბამისი წესით დამოწმებული (აპოსტილით, ლეგალიზებული ან ნოტარიულად დამოწმებული);

4.5. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოოდ არ გამოიკვეთება 25% და ზემოთ წილის მფლობელი

ბენეფიციარი ფიზიკური პირი, უნდა დაფიქსირდეს საბოლოო კონტროლის განმახორციელებელი პირები და მოწოდებულ იქნას მისი/მათი პირადობის ასლები;

4.6. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ანკეტირების სახით, KYC კითხვარის შევსება;

4.7. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრიდან;

4.8. აქციონერთა რეესტრი, სააქციო საზოგადოების შემთხვევაში;

4.9. სისტემის ოპერატორის მიერ მოთხოვნილი სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.

5. სქრინინგიდან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი თანამშრომელი პრეტენდენტს აღნიშნულის შესახებ აცნობებს დამატებითი განმარტების გარეშე.

6. სქრინინგიდან დადებითი პასუხის შემთხვევაში, სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი თანამშრომელი პრეტენდენტს ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის ტექნიკურ პროტოკოლს (იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს საჭიროება აქვს ჰყავდეს ანგარიშსწორების აგენტი, სისტემის ოპერატორი აცნობებს ამის შესახებ). ხოლო, თავის მხრივ, პრეტენდენტი სისტემის ოპერატორთან აგზავნის მინიმუმ სამწლიან ბიზნეს განვითარების გეგმას.

7. პრეტენდენტი ვალდებულია დეტალურად გაეცნოს ტექნიკურ პროტოკოლს. დარწმუნდეს, რომ მისთვის შესაძლებელია უზრუნველყოს პრეტენდენტის სისტემის მოწყობა, განახლება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს პრეტენდენტის სისტემის დაკავშირება სისტემასთან.

8. სისტემის ოპერატორი ვალდებულია დეტალურად გაეცნოს პრეტენდენტის ბიზნეს გეგმას.

9. ტექნიკური პროტოკოლისა და ბიზნეს გეგმის გაცნობის შემდეგ, პრეტენდენტისა და სისტემის ოპერატორის მხრიდან დადებითი პასუხებიდან მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში, სისტემის ოპერატორი პრეტენდენტს წარუდგენს კომერციულ წინადადებას;

10. სისტემის ოპერატორი უბრუნდება პრეტენდენტს მისი დასაბუთებული პასუხით შესაძლებელია თუ არა პრეტენდენტის სისტემაში ჩართვა.

11. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტისთვის კომერციული შეთავაზება მისაღებია, და ანგარიშსწორების აგენტსა და პრეტენდენტს შორის მოხდა შეთანხმება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), სისტემის ოპერატორი აორგანიზებს პრეტენდენტისა და სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესს.

12. ხელშეკრულების მხარეებიდან ხელმოწერის შემდეგ იწყება პრეტენდენტის სისტემაში ჩართვისთვის საჭირო ტექნიკური სამუშაოები.